გენო ციწცაძე

პიროვნებისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა განვითარებულ სოციალიზმში

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, 1979

1Ми 94
180
Ц-661

ნაშრომში განხილულია პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა ახალი საბჭოთა კონსტიტუციის დებულებებთან კავშირში.

ნაჩვენებია საბჭოთა მოქალაქეების უფლებები, მოვალეობები და მათი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანოებისა და ორგანიზაციების ფუნქციამოვალეობებთან.

Гено Васильевич Цинцадзе

Отношение личного и общественного в период развитого социализма

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1979

10504—056
Ц ——————————— 38—79
М 601(08)—79

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.

ადამიანი სოციალური არსებაა, იგი ყალიბდება, ცხოვრობს და მოღვაწეობს საზოგადოებაში. ყოველი ინდივიდუალური ადამიანი ამა თუ იმ კლასის, სოციალური ფენის, ერის ან ეროვნების წარმომადგენელია. მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ადამიანებთან, კოლექტივთან, მთელ საზოგადოებასთან. ადამიანები ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდებიან და მკვეთრად დიფერენცირებულ პიროვნებებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი ცხოვრება და მოღვაწეობა საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. ისინი უშუალოდ საკუთარი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იღვწიან, მათ სურთ საკუთარი ძალები და უნარი განავითარონ, დაიკმაყოფილონ კვება, ტანსაცმლის, ბინის, ყოფა-ცხოვრების საგნებისა და სხვა მოთხოვნილებანი. ყველაფერი ეს კი საზოგადოებაში ხორციელდება და საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს. საზოგადოება ქმნის როგორც პიროვნულ ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, ასევე მათი დაკმაყოფილების პირობებს.

საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ადამიანებს სხვადასხვა ინტერესი და მოთხოვნილება ამოძრავებთ, სხვადასხვაგვარია პირობებიც, რომლებსაც საზოგადოება ქმნის ინდივიდთა არსებობისათვის. საზოგადოების ბუნებაზეა დამოკიდებული ერთნაირი პირობები იქმნება ყველა ადამიანის არსებობისათვის, თუ სხვადასხვაგვარი. კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში მხოლოდ გაბატონებული კლასისათვისაა შექმნილი ხელსაყრელი პირობები. ამის

შესაბამისად ადამიანები ავითარებენ თავიანთ ბუნებრივ მონაცემებს ან ისე ტოვებენ აუპარეზს, რომ ნამდვილ ადამიანურ ღირსებებს მოცლებულნი რჩებიან. სოციალისტურ საზოგადოებაში ყველასათვის თანაბარი პირობებია, მაგრამ ერთი ფაქტია, რა ხასიათის საზოგადოებაც არ უნდა იყოს, პიროვნებასა და საზოგადოებას შორის ყველა შემთხვევაში მჭიდრო კავშირია და ამაოა ყოველგვარი ცდა ერთმანეთს მოვწყვიტოთ ისინი.

ამ საკითხში მარქსიზმ-ლენინიზმი ემიჯნება ორ უკიდურესობას. პირველის მიხედვით პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესთა შეთავსება შეუძლებელია, და იმისათვის, რომ პიროვნება იყოს ბედნიერი, აუცილებელია მისი საზოგადოებისაგან სრული გამოთავისუფლება, მან უნდა მოიპოვოს სრული დამოუკიდებლობა. მეორე უკიდურესობა პრინციპულად უარყოფს პიროვნების ბედნიერების შესაძლებლობას. მას შეუძლებლად მიაჩნია პიროვნების ყოველგვარი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ამ თვალსაზრისის მიხედვით ადამიანი უნდა დაემორჩილოს საზოგადოებასა და სახელმწიფოს და მათგან განსხვავებული ინტერესები არ უნდა ამოძრავებდეს.

ეს შეხედულებები ერთი შეხედვით, ურთიერთგამომრიცხავია, მაგრამ არსებითად ერთი და იგივე საფუძვლის მქონენია და ერთ მიზანს ემსახურებიან. ორივე ეფუძნება წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრებას და მისგან გამომდინარე კონფლიქტს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის გადაუჭრელად მიიჩნევს. ეს კონფლიქტი, მართლაც, არ გადაიჭრება ანტაგონისტურ საზოგადოებაში, მაგრამ იგი პრინციპულად გადაუჭრელი არ არის. მისი გადაჭრისათვის აუცილებელია წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება დამყარდეს, ე. ი. უნდა მოისპოს წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება და მისგან გამომდინარე ადამიანის

მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. ეს კი მიიღწევა სოციალისტურ საზოგადოებაში. სოციალიზმის დროს მატერიალური და სულიერი დოვლათი იქმნება საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანთა ერთობლივი მოქმედებით და ხმარდება მშრომელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. აქ საზოგადოებრივი ინტერესები საერთოა მშრომელებისათვის, ამიტომ იგი ფაქტიურად ყოველი ცალკეული მშრომელის ინტერესებსაც წარმოადგენს. რაც უფრო ვითარდება სოციალისტური საზოგადოება, მით უფრო მეტი ხელსაყრელი პირობები იქმნება საზოგადოების ყველა წევრის ყოველმხრივი განვითარებისათვის. ეს გარდუვალია, ვინაიდან: პირველი, სოციალისტური საზოგადოება თავისუფლდება სხვადასხვა სახის სოციალური ბარიერებისაგან, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში გზას უღობავდნენ მშრომელ ადამიანებს თავისუფალი განვითარებისაკენ; მეორე, მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე, განათლების არნახული ზრდა, მასების მიერ კულტურის ღირებულების ფართოდ ათვისება გზას უხსნის ადამიანთა თვითმოქმედების მრავალმხრივ გამოვლენას. ადამიანთა ძალებისა და უნარის ყოველმხრივი გამოვლენა და განვითარება ძეუძლებელია საზოგადოების გარეშე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების გარეშე. ადამიანები უშუალოდ თუ გაშუალებულად ერთობლივად მოქმედებენ და თავიანთი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პროცესში ერთიანდებიან სოციალურ ჯგუფებად, კოლექტივებად, რომლებიც საზოგადოების მთლიანობას აპირობებენ. სოციალისტური საზოგადოება ადამიანთა ისეთი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა სახის ურთიერთობების ერთობლიობაა, რომელიც ეფუძნება დემოკრატიზმის, კოლექტივიზმის, ურთიერთდახმარების, ჰუმანურობის, ინტერნაციონალიზმის პრინციპებს.

საბჭოთა ადამიანებს, რა სფეროშიც არ უნდა მოღვაწეობ-

ლენ ისინი, მაღალი საზოგადოებრივი იდეალები ამოძრავებთ. ისინი შეიარაღებული არიან მოწინავე მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით და ერთიანი შრომით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას. საბჭოთა საზოგადოების ყოველ მოქალაქე იდეური პიროვნებაა, ის თავის საკუთარ ინტერესებზე მაღლა აყენებს საზოგადოებრივს, სწავს კომუნიზმის პრინციპები და მოქმედებს მათ შესაბამისად.

სოციალისტურ საზოგადოებაში, მართლაც, საზოგადოებრივი ინტერესები მაღლა დგას პიროვნულზე, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ისპობა განსხვავება ცალკეულ პიროვნებებსა და საზოგადოების ინტერესებს შორის, თითქოს სოციალიზმში პიროვნების ინტერესების უგულებელყოფა ხდებოდეს და ყოველგვარი პირადული საზოგადოებრივს ეწირებოდეს, როგორც ამას ჩვენი იდეოლოგიური მტრები გვისაყვედურებენ. პირიქით, სოციალიზმი ყველა პირობას ქმნის პიროვნების სულიერი და მატერიალური ინტერესების სრულად დაკმაყოფილებისათვის. მაგრამ ეს არ ხდება საზოგადოებრივის საწინააღმდეგოდ, ისევე როგორც საზოგადოებრივის განვითარება კონფლიქტში არ არის პიროვნულთან. სოციალიზმის დროს ისეთი სოციალური გარემო ყალიბდება, რომელიც შესაძლებელს ხდის პიროვნებისა და საზოგადოების ინტერესები და მოთხოვნილებები სწორ თანაფარდობაში მოვიდნენ ერთმანეთთან.

ყოველ პიროვნებას, საზოგადოების ყოველ ჯგუფსა და კოლექტივს აქვს საკუთარი სპეციფიკური ინტერესები, რაც აყენებს საზოგადოებრივ ინტერესებთან მათი შეხამების პრობლემას. ამ პრობლემის დადებითად გადაჭრისათვის ობიექტურად არსებობს ყველა პირობა. სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის პროცესი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი და პირადი ინტერესები წარმატებით

უთავსდებიან ერთმანეთს, და, რაც დრო გადის, მით უფრო შინაარსიანი და სრულყოფილი ხდება მათი ერთიანობა. რასაკვირველია, ეს პროცესი არ მიმდინარეობს უმტკივნეულოდ და გარკვეული წინააღმდეგობების გადალახვის გარეშე. საქმე იმაშია, რომ საზოგადოებაში შექმნილი ობიექტური პირობები რეალური შესაძლებლობებია საზოგადოებრივისა და პიროვნული ინტერესების სწორი თანაფარდობის დასამყარებლად, მაგრამ, თუ როგორ განხორციელდება ეს შესაძლებლობები, რა მასშტაბით და დროის რა მონაკვეთში, დამოკიდებულია ადამიანებზე, სახელმწიფო წარმოებისა და დაწესებულებების სათავეში მყოფ ადამიანთა ორგანიზატორულ უნარზე, უშუალოდ მშრომელ ადამიანთა საზოგადოებრივ აქტიურობაზე. მაგრამ სოციალისტური საზოგადოების მთავარი ღირსება ისაა, რომ საზოგადოებრივსა და პიროვნულს შორის წარმოშობილი წინააღმდეგობები და დისპროპორციები დროებითი და წარმავალი ხასიათისაა და ძირითადსა და მთავარში მათ შორის ყოველთვისაა ერთიანობა და ჰარმონიულობა.

სოციალისტური საზოგადოება არაა დაყოფილი მტრულ ჯგუფებად, ერთმანეთის ინტერესთა გამომრიცხავ სოციალურ ფენებად. საზოგადოების ყველა წევრს, ყველა სოციალურ ჯგუფსა და ფენას საერთო ინტერესები ამოძრავებთ, მაგრამ მათი განხორციელების პროცესში საკუთარ ინტერესებსაც იკმაყოფილებენ. სოციალისტურ საზოგადოებაში, რადგანაც წარმოების საშუალებებზე საერთო საზოგადოებრივი საკუთრება არსებობს, ადამიანთა ისეთი შრომითი კოლექტივები ყალიბდება, რომლებიც ხელსაყრელ პირობებს ქმნიან თავიანთი წევრების ყოველმხრივი განვითარებისათვის. კ. მარქსს ასეთი კოლექტივები ჰქონდა მხედველობაში, როცა ამბობდა: „მხოლოდ კოლექტივში არსებობს ყოველი

ინდივიდისათვის იმის საშუალება, რომ მან თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს, და, მაშასადამე, მხოლოდ კოლექტივშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება“ [1].

თუკი კოლექტივი ეფუძნება სამართლიანობასა და მეგობრობას, თუ ყოველი მისი წევრი უანგაროდ ზრუნავს სხვა წევრებზე, მაშინ კოლექტივში მუშაობა ხელს უწყობს ადამიანის შესაძლებლობათა სრულ რეალიზაციას. ადამიანებს შორის სამართლიანი თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და გამოცდილების ურთიერთგაცვლა აპირობებს ადამიანთა აქტივობას და მათი ძალებისა და უნარის სრულ მოძრაობაში მოყვანას. „...წარმოებლურ სამუშაოთა უმრავლეს შემთხვევაში უკვე თვით საზოგადოებრივი კონტაქტი იწვევს ერთგვარ შეჯიბრებას და სასიცოცხლო ენერგიის (animal spirits) თავისებურ აღგზნებას, რაც ცალკეულ პირთა ინდივიდუალურ ქმედუნარიანობას ადიდებს“ [2].

პიროვნების მოქმედების უნარი დიდად იზრდება, როცა კოლექტივის წევრთა საქმიანი კონტაქტები დაფუძნებულია ინტერესებისა და მიზნების ერთიანობაზე და მთელი კოლექტივი ერთი საერთო საზოგადოებრივი იდეალით სულდგმულობს. სოციალისტურ საზოგადოებაში სწორედ ისეთი ჯანსაღი საწარმოო (საერთო შრომითი) კოლექტივები, საზოგადოებრივი ჯგუფები და ფენები იქმნება, რომლებიც წარმოადგენენ პირადი ძალისა და უნარის, პირადი თავისუფლების, გამოჩენისა და სრულყოფის ასპარეზს.

ადამიანთა მიზნებისა და ინტერესების სრული რეალიზა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. ფოიერბახი, მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, თბილისი, 1968, გვ. 106.

[2] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. 1, თბილისი, 1954, გვ. 414.

ცია შესაძლებელია კოლექტივისა და საზოგადოებრივის საფუძველზე. შრომით კოლექტივებში იბადება და ვითარდება მრავალი წამოწყება, რომლებსაც მხარს უჭერენ სხვა კოლექტივები, მთელი საზოგადოება. ყოველი პროგრესული წამოწყების გავრცელება, ჩვეულებრივ, დადებით ზემოქმედებას ახდენს მთელი ქვეყნის ცხოვრებაზე. კოლექტიურობა, საზოგადოებრივი იდეალებით ხელმძღვანელობა რიდი უარყოფს პიროვნების დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, პირიქით, მხოლოდ კოლექტივსა და საზოგადოებაშია შესაძლებელი პირადი თავისუფლება და პიროვნული დამოუკიდებლობა. კოლექტივი, საზოგადოება, რა თქმა უნდა, მხოლოდ პიროვნების ინდივიდუალური მოთხოვნილებებისდაკმაყოფილებით არ იფარგლება, იგი პიროვნებას გარკვეული საერთო, საზოგადოებრივი ამოცანების შესრულებასაც ავალებს. ამის გარეშე შეუძლებელია ერთიანი კოლექტივის არსებობა, საზოგადოების შემდგომი განვითარება და თვით ცალკეული პიროვნებების ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა. პირადისა და საზოგადოებრივის სწორი და ჯანსაღი შეხამება სოციალისტური ცხოვრების წესის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია. მათ შორის დამოკიდებულება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღიდან ვითარდება და სრულყოფილი ხდება. ამან განმაზოგადებელი ასახვა პოვა საბჭოთა კავშირის ახალ კონსტიტუციაში.

1. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუცია მუშავდებოდა წლების მანძილზე კომპე-

ტენტური კომისიის მიერ, რომელსაც ხელმძღვანელობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. კონსტიტუციის პროექტი თითქმის ოთხი თვის განმავლობაში იხილებოდა. საგულისხმოა, რომ პროექტის საერთოსახალხო განხილვაში მონაწილეობა მიიღო 140 მილიონმა კაცმა. პროექტის განხილვას მიეძღვნა მშრომელთა მილიონნახევრამდე კრება, გაიმართა ოთხას ორმოცდაათი ათასზე მეტი ღია პარტიული კრება, რომლებზეც სამ მილიონზე მეტი კაცი გამოვიდა. საკონსტიტუციო კომისიამ მიიღო 400 ათასი წინადადება. ეს დიდი შემოქმედებითი მუშაობა შეაჯამა და ახალი კონსტიტუცია დაამტკიცა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მეშვიდე სესიამ 1977 წლის 7 ოქტომბერს.

ეს დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური და იურიდიული დოკუმენტი მთელი საბჭოთა ხალხის კოლექტიური ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგია. კონსტიტუცია ეხება ადამიანებისა და საზოგადოების უფლება-მოვალეობებს, ბუნებრივია, მათ შემუშავებაში აქტიური მონაწილეობა სწორედ იმ მოქალაქეებმა უნდა მიიღონ, რომლებსაც ევალებათ მისი დებულებების ცხოვრებაში დანერგვა. მაგრამ ასეთი მიდგომა უჩვეულოა კაპიტალისტური საზოგადოებისათვის, იგი დამახასიათებელია მხოლოდ სოციალიზმისათვის, რომლის ცხოვრების კანონია ყველას ზრუნვა თითოეულის კეთილდღეობისათვის და თითოეულის ზრუნვა ყველას კეთილდღეობისათვის. მოსახლეობის ფართო ფენების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელი იყო სრულად ასახულიყო ის ცვლილებები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში 1936 წლიდან დღემდე. ახალი კონსტიტუცია ხალხის შემოქ-

შედეგია იმ მხრივაც, რომ მასში გათვალისწინებულია არა მხოლოდ პროექტის განხილვის პროცესში გამოთქმული წინადადებები, არამედ ძალების მრავალწლიანი ძღვალური გამოცდილება და მათი მრავალმხრივი მოქმედების თავისებურებანი. „სსრ კავშირის ახალი ძირითადი კანონი, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — მშრომელთა უფართოესი მასების შემოქმედების ნაყოფია. იგი განასახიერებს მათს გამოცდილებას, ცოდნასა, და ნებას, ზრუნვას სოციალისტური საშობლოს აყვავებისათვის, მისი საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდისათვის“ [1].

რა ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში განვლილი 40 წლის განმავლობაში, რომლებმაც აუცილებელი გახადეს ახალი კონსტიტუციის მიღება? 1936 წელს, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი,—„...ჩვენში არსებითად მხოლოდ სოციალიზმის საფუძვლების შექმნა იყო დამთავრებული, სულ მთლად ახალგაზრდა, ჯერ კიდევ მოუმზადებელი იყო საკოლმეურნეო წყობილება. სახალხო მეურნეობის ტექნიკური დონე ჯერ დიდად ჩამორჩებოდა ყველაზე განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების დონეს, ცხოვრების სხვადასხვა დარგს ჯერ კიდევ ეტყობოდა რევოლუციამდელი დროის მემკვიდრეობის გავლენა.

ახლა კი საბჭოთა კავშირში განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოებაა აშენებული. დიდი, პრინციპული ცვლილებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს შეეხო“[2].

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, თბილისი, 1977, გვ. 3.

[2] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება სკკპ ცკ პლენუმზე, 1977, 24 მაისი. გვ. 3.

ძირეულად შეიცვალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, მასში, გაბატონებული ადგილი უკავია სოციალისტურ საკუთრებას. ჩამოყალიბდა და წარმატებით ვითარდება ერთიანი, მსხვილი სახალხო მეურნეობის ორგანიზმი. იგი ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციალისტური წყობის უპირატესობასთან შერწყმის საფუძველზე. შეიცვალა საზოგადოების სოციალისტური სტრუქტურა. „ჩვენი დღევანდელი მუშათა კლასი,— ამბობს ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს არის ქვეყნის მოსახლეობის ორი მესამედი. ეს არის ათმილიონობით განათლებული, ტექნიკურად წიგნიერი, პოლიტიკურად მომწიფებული ადამიანი. მათი შრომა სულ უფრო მეტად უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკური მუშაკის შრომას. მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშების საზოგადოებრივი აქტივობა, მათი მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში“ [1]. შეიცვალა გლეხობაც, თანამედროვე კოლმეურნეების უმრავლესობა დაიბადა და ჩამოყალიბდა კოლმეურნეობაში, მისი ფსიქოლოგიის ფორმირება სოციალიზმის საფუძველზე წარიმართა. ის სარგებლობს თანამედროვე ტექნიკით, მისი განათლების დონე, მისი ცხოვრების წესი დიდად არ განსხვავდება ქალაქისაგან. სოციალისტური ბუნებისაა საბჭოთა ინტელიგენცია, მისი რიგები განუწყვეტლივ ივსება მუშათა და გლეხთა მოწინავე წარმომადგენლებით. ინტელიგენციის ხვედრითი წონის ზრდა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში სრულად შეესაბამება მეცნიერების მზარდ როლს კომუნისტურ მშენებლობაში და ხალხის კულტურის თანამედროვე დონეს.

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება სკკპ ცკ პლენუმზე. 1977, 24 მაისი.

მთელი რევოლუცია განხორციელდა საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების ურთიერთობაში. ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ მიაღწია განვითარების მაღალ დონეს. ამავე დროს ყოველი ცალკეული რესპუბლიკის ეკონომიკა გადაიქცა ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობის კომპლექსის ორგანულ ნაწილად, საბჭოთა კავშირის ეკონომიკის მართვას სახელმწიფო ხელმძღვანელობს სახელმწიფო გეგმების საფუძველზე. ერთიანი ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა შეხამებულია ნაციონალური რესპუბლიკების საწარმოებისა, და სხვა ორგანიზაციების საშეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან.

ყველა ამ ცვლილების შედეგია საბჭოთა საზოგადოების ერთგვაროვნების ზრდა. კიდევ უფრო მყარი გახდა კავშირი მუშათა კლასსა, საკოლმეურნეო გლეხობასა და სახალხო ინტელიგენციას შორის. თანდათან ისპობა განსხვავება ძირითად სოციალურ ჯგუფებს შორის, სულ უფრო უახლოვდება ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის ყველა ერი და ხალხი. ჩამოყალიბდა ახალი ისტორიული ერთობა — საბჭოთა ხალხი. მომწიფებული სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად, ყველა ფენის მუშათა კლასის იდეურ-პოლიტიკურ პოზიციაზე გადასვლასთან დაკავშირებით — ჩვენი სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურა, გადაიზარდა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობას და სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში კიდევ უფრო გაიზარდა პარტიის როლი. „კომუნისტური პარტია, — ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — ეს არის საბჭოთა ხალხის ავანგარდი, მისი ყველაზე შეგნებული, მოწინავე, მთლია-

ნად ხალხისაგან განუყოფელი ნაწილი. პარტიას არა აქვს არავითარი სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა"[1]. განვლილი 40 წლის განმავლობაში ძირეულად შეიცვალა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა, დიდად გაიზარდა მისი მორალური და პოლიტიკური ავტორიტეტი. საგრძნობლად დასუსტდა კაპიტალიზმის პოზიციები. ამჟამად საბჭოთა კავშირთან ერთად ახალ უკლასო საზოგადოებას ამენებს ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები. ბოლო ეღება კოლონიალიზმს და მისი ნგრევის საფუძველზე ჩამოყალიბდა ან ყალიბდება ათობით ახალგაზრდა სახელმწიფო. ამ მკვეთრმა ცვლილებებმა მსოფლიო მასშტაბით შექმნა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების რეალური შესაძლებლობა.

მიღწეულის საფუძველზე საბჭოთა ხალხი ამჟამად ახორციელებს ისეთი ისტორიული ხასიათის ამოცანებს, როგორიცაა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების კომუნისტურად გადაზრდა და ყოველმხრივად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება. ყველაფერმა ამან თავისი ასახვა და განზოგადება პოვა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში, რომელიც სამართლიანად იწოდება განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციად.

ამრიგად, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალმა კონსტიტუციამ შეაჯამა საბჭოთა ხალხის მრავალი ათეული წლის ტიტანური შრომის შედეგები, გაითვალისწინა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა, წინათმოქმედი კონსტიტუციებიდან აიღო ის დებულებები, რო-

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, 1977, გვ. 23-24.

მლებსაც არ დაუკარგავთ ძალა ჩვენს სინამდვილეში; გაი-ზიარა მოძმე სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციების გამოცდილება, მკაფიოდ და ფართოდ განსაზღვრა საბჭოთა ხალხის ვალდებულებები, მოვალეობები და თავისუფლებები და დასაბა კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე.

კონსტიტუციაში მოცემული დებულებები მრავალ საინტერესო და აქტუალურ საკითხს აყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე. ერთ-ერთი ასეთი საკითხია პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა. ყველა წინანდელი საბჭოთა კონსტიტუცია ეხებოდა პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობას, მაგრამ ეს საკითხი განსაკუთრებით ფართოდ და დეტალურადაა განხილული ახალ კონსტიტუციაში. უნდა აღინიშნოს, რომ კონსტიტუციაში მეორე განყოფილების 38 მუხლი ეთმობა სახელმწიფოსა და პიროვნების ურთიერთობას, საკუთრივ პიროვნების უფლებების, მოვალეობებისა და თავისუფლებების ფართო დასასიათებას. პიროვნების უფლებებს, პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობებიდან გამომდინარე მოვალეობებს ეხება კონსტიტუციის თითქმის ყველა სხვა განყოფილების მრავალი დებულება. პიროვნებას მრავალ სფეროში უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. სხვადასხვაგვარია მისი ინტერესები და მოთხოვნილებები ოჯახსა და სამსახურში, მეგობრებთან და უცხო პირებთან ურთიერთობაში და ა. შ. ამის შესაბამისად პიროვნების უფლებები, მოვალეობები და თავისუფლებანი ჯგუფდება ეკონომიკური, პოლიტიკური, ეროვნული, საყოფაცხოვრებო და სხვა სფეროების მიხედვით. შევეხოთ ზოგიერთ სფეროში იმ უფლებებს, მოვალეობებსა და თავისუფლებებს, რომლებმაც რეგულირებაში უნდა მოიყვანონ ადამიანთა ურთიერთობანი ერთმანეთთან და საზოგადოებასთან.

2. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა და პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა

საბჭოთა ადამიანებისათვის სრულიად უცხოა ყოველგვარი ჩაგვრა და ექსპლოატაცია. ამას განაპირობებს სსრ კავშირის ეკონომიკური სისტემა, რომლის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება. იგი წარმოდგენილია სახელმწიფო (საერთო-სახალხო) და საკოლმეურნეო კოოპერაციული საკუთრების ფორმებით. სოციალისტური საკუთრებაა აგრეთვე პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება. აქედან საკუთრების ძირითადი ფორმაა სახელმწიფო საკუთრება, რომელიც ვრცელდება მიწაზე, მის წიაღზე, წყალზე, ტყეზე, წარმოების ძირითად საშუალებებზე მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობის საშუალებებზე, ბანკებზე, სახელმწიფოს მიერ ორგანიზებულ სავაჭრო, კომუნალურ და სხვა საწარმოების ქონებაზე და სხვ.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მიზანია შრომის ნაყოფიერების მაქსიმალურად გაზრდის საფუძველზე მშრომელთა მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსია. იგი მოიცავს მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მეურნეობებს და ერთიანი სამეურნეო გეგმით მთელი ქვეყნისა და ყოველი რესპუბლიკის ინტერესების შესაბამისად ვითარდება. თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო საკუთარ წარმოებაზე, არამედ სხვა მოძმე რესპუბლიკების ეკონომიკაზეც, მათ ურთიერთდახმარებაზე. როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საკოლმეურნეო-კოოპერაციული

საკუთრება თავისი ბუნებით სოციალისტურია. იგი გამორიცხავს ანგარებითი მიზნით საკუთრების გამოყენებას. მაგრამ სოციალისტური საზოგადოება თავისუფალი არ არის წინააღმდეგობებისაგან. იგი ჯერ კიდევ ინარჩუნებს კაპიტალიზმიდან მომდინარე ლაქებს, რაც ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეულმა პირებმა არასწორად გამოიყენონ სოციალისტური საკუთრება. ასეთი შესაძლებლობის არსებობა გათვალისწინებულია კონსტიტუციაში და კატეგორიულადაა ნათქვამი, რომ არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენისა და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას. ეს არ არის უბრალო დეკლარაცია, იგი გამაგრებულია შესაბამისი იურიდიული კოდექსებით, რომლებიც ითვალისწინებენ იმ პირთა მკაცრად დასჯას, რომლებიც არასწორი მიზნით იყენებენ მშრომელების მიერ მოპოვებულ დოვლათს.

საბჭოთა მოქალაქეებს გააჩნიათ შრომის უფლება. მათ გარანტირებული აქვთ სამუშაო. ისინი თავისუფალნი არიან პროფესიის, საქმიანობისა და სამუშაოს სახეობის არჩევაში, მაგრამ მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით, საბჭოთა მოქალაქეები, რა სფეროშიც არ უნდა მუშაობდნენ ისინი, ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად იშრომონ, აწარმოონ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა. სოციალიზმის დროს შრომა არა მარტო არსებობის საშუალებაა, არამედ აგრეთვე საზოგადოების კეთილდღეობის, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმისათვის სამსახურის საშუალებაცაა. მშრომელები ვალდებულნი არიან ემორჩილებოდნენ სოციალიზმის პრინციპს „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს შრომის მიხედვით“. ამ პრინციპის განხორციელებას კონტროლს უწევს სახელმწი-

ფოს შესაბამისი ორგანიზაციები და მისი მიხედვით განისაზღვრება შრომისა და მოხმარების ოდენობა. აღნიშნული პრინციპი სტიმულს აძლევს ადამიანის ნიჭისა და უნარის განვითარებას.

სსრ კავშირის თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში, იცავდეს შრომის დისციპლინას. საზოგადოებრივ სასარგებლო შრომისათვის თავის არიდება შეუთავსებელია სოციალისტური საზოგადოების პრინციპებთან. სოციალისტურ საზოგადოებაში მხოლოდ შრომით ფასდება ადამიანი, მხოლოდ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით და მისი შედეგებით განისაზღვრება ადამიანის მდგომარეობა საზოგადოებაში. კონსტიტუციურად დაფუძნებულია შრომის ნოვატორების, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების ყოველმხრივი წახალისება. ეს ერთ-ერთი მეთოდია შრომის სასიცოცხლო მოთხოვნად გადაქცევის საქმეში. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი წარმოების უზენაესი მიზანია ყველაზე სრულად დააკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ამიტომაა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდი ენთუზიაზმით მუშაობენ თავიანთ უბნებზე. ასეთ სოციალურ გარემოში ბუნებრივად ჩნდება ინტერესი საკუთარი შრომის შედეგებისადმი. ადამიანი დაინტერესებულია არა მარტო გასამრჯელოს მილებით (ეს არ არის უმნიშვნელო ფაქტორი), არამედ წარმოების საერთო ინტერესებითაც, თავისი კოლმეურნეობის, ქარხნის, საამქროს, დაწესებულების წარმატებით თუ წარუმატებლობით. სოციალიზმის დროს შშრომელი ადამიანები თავიანთ მუშაობას აცნობიერებენ, როგორც ხალხისა და მთელი საზოგადოებისადმი სამსახურს.

კეთილსინდისიერ შრომას ეწევა რა ადამიანი ფაბრიკასა თუ ქარხანაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში, სასწავლებელსა თუ სამეცნიერო დაწესებულებაში და ა.შ., იგი ერთსა და იმავე დროს ასრულებს პირადსა და საზოგადოებრივ მოვალეობებს, ახორციელებს თავისუფალ მოქმედებას. რამდენადაც შრომობს იქ, სადაც მას აქვს სურვილი და მოწოდება, მაგრამ ამავე დროს ასრულებს საზოგადოებრივ მოვალეობას, რამდენადაც პასუხისმგებლობით ეკიდება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, ამ საზოგადოებრივი მოვალეობის გარეშე შეუძლებელია შრომის უფლება და პროფესიის არჩევის თავისუფლება. სწორედ მათი ერთიანობა უდევს საფუძვლად პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დიალექტიკას. სოციალისტური საზოგადოების ყოველი სიჭარბე, დაწესებულება და სხვა. სწორად უხამებს ერთმანეთს პირადსა და საზოგადოებრივს. რასაკვირველია, გაბერილი არ არის ზოგიერთ შემთხვევაში ცალეული ორგანიზაციებისა და (რიგითი და პასუხისმგებელი) პიროვნებების მიერ არ მოხდეს დარღვევები და სოციალიზმის კანონიერებიდან გადახვევები. მაგრამ ასეთი ფაქტები დამახასიათებელი არ არის ჩვენი საზოგადოებისათვის. მათ წინააღმდეგ შეუდრეკელი ბრძოლა წარმოებს როგორც მორალური გაკიცხვის, ასევე (თუ დანაშაული მძიმეა) ფიზიკურად დასჯის სახით. კონსტიტუციის 58-ე მუხლი უფლებას აძლევს საბჭოთა მოქალაქეებს გაასაჩივრონ თანამდებობის პირების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების მოქმედება და თუ სასამართლო დაამტკიცებს, რომ დარღვეულია სახელმწიფო კანონები და ამით გარკვეული ზარალი განიცადეს მოქალაქეებმა, დამნაშავენი ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზარალი.

კეთილსინდისიერი შრომის დროს პირადი და საზოგადო-

ებრივი ინტერესები არა მარტო ორგანულ ერთიანობაშია, არამედ ისინი ერწყმიან ერთმანეთს და გადადიან ერთმანეთში. სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა ყოველი მოქალაქის კეთილდღეობა, ამიტომ, როცა ადამიანი თავისი შრომით იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებებს, ამით საზოგადოებრივ საქმესაც აკეთებს. საბჭოთა ადამიანების მიერ შექმნილი დოვლათიდან ნაწილი უშუალოდ საზოგადოებრივ საჭიროებებს ხმარდება, შენდება ფაბრიკა-ქარხნები, კულტურის სახლები და სხვ. ამით მხოლოდ საზოგადოებრივი საქმე კი არ კეთდება, არამედ პიროვნულიც, ვინაიდან საზოგადოებაში ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის კიდევ უფრო უკეთესი პირობები იქმნება. ჩვენს ქვეყანაში ხომ ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის კეთდება. მაგალითად, ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის გაზრდით ჩქარდება საზოგადოების ყოველმხრივი პროგრესი და მის საფუძველზე იქმნება მატერიალური წანაძღვრები საზოგადოების ყველა წევრის ძალებისა და უნარის განვითარებისათვის. შრომის ნაყოფიერების ზრდის საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ახორციელებს კურსს, რომ აამაღლოს შრომის ანაზღაურების დონე, მშრომელთა რეალური შემოსავალი. ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი მხოლოდ ხალხისათვის იქმნება და ხალხის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება.

პირადისა და საზოგადოებრივის სწორ შეხამებაზე მეტყველებს ისიც, რომ საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად აუმჯობესებს შრომის პირობებს ქალაქად და სოფლად. იგი ზრუნავს შრომის უსაფრთხოებისათვის, მეცნიერების მონაცემებზე დაყრდნობით ცდილობს ფიზიკური შრომის შემცირებას, სამუდამოდ მის მოლიანად განდევნას სახალხო მეურნეობის ყველა დარგიდან, რაც განხორციელდება სახალხო

მეურნეობის ყველა დარგის საწარმოო პროცესთა კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საფუძველზე. დიდი ყურადღება ეთმობა სოფლად შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების ამაღლებას. წარმატებით ხორციელდება პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული პროგრამა, რომლის მიხედვით "სასოფლო-სამეურნეო შრომა უნდა გადაიქცეს ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად, გაფართოვდეს სოფლად საახალხო განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების და საყოფაცხოვრებო მოხმარებისა და კომუნალური მეურნეობის დაწესებულებათა ქსელი, გარდაიქმნას სოფლები კეთილმოწყობილ დაბებად. პირადი და საზოგადოებრივი ყოველ ფორმაციაშია ერთმანეთთან დაკავშირებული. ყოველი ცალეული ადამიანის მოქმედება ასე თუ ისე ერთვის საზოგადოებრივს და აპირობებს მის არსებობასა და ფუნქციონირებას. ვ. ი. ლენინმა კარგად დახასიათა პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა, როცა თქვა, რომ „...როცა გლეხი პურს ჰყიდის, იგი „ურთიერთობას" ამყარებს პურის მსოფლიო მწარმოებლებთან მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ მას ეს შეგნებული არა აქვს, როგორც შეგნებული არა აქვს ისიც, რომ საზოგადოებრივი ურთიერთობა იქმნება აღებ-მიცემობით" [1]. გლეხი, როგორც საზოგადოების წევრი, უშუალოდ თავისი არსებობისათვის ზრუნავს. ამ მიზნით ჰყიდის იგი პურს. მაგრამ ამით იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების შექმნაში მონაწილეობს და არ იცის, რომ თავისი მოქმედებით ხელს უწყობს იმ საზოგადოების განმტკიცებას, რომელიც მშრომელი ხალხის ექსპლუატაციაზეა დაფუძნებული. სოციალიზმის დროს ყოველმა მოქალაქემ იცის, მას ცოტად თუ

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, გვ. 411.

ბევრად გაცნობიერებული აქვს, რომ ყოველ ინდივიდუალურ მოქმედებას საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს და იცის, რომ თავისი შრომით ხელს უწყობს იმ საზოგადოების შემდგომ განვითარებას, რომელიც მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვას აცხადებს თავის ყველაზე მაღალ მიზნად და მოვალეობად. პირადისა და საზოგადოებრივის სოციალისტურ დამოკიდებულებაზეა აგებული საბჭოთა ადამიანების შრომა არა მარტო სახელმწიფო საწარმოებსა და დაწესებულებებში, არამედ მაშინაც, როცა ისინი შრომით საქმიანობას ეწევიან თავიანთ პირად, დამხმარე მეურნეობაში. კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა მოქალაქეებს შეუძლიათ სარგებლობისათვის იქონიონ მიწის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონით დადგენილი წესით ეძლევათ დამხმარე მეურნეობის გაძღოლისათვის (ყერძოდ, პირუტყვისა და ფრინველის შენახვისათვის), მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის, აგრეთვე ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. 1936 წელს მიღებული კონსტიტუციით მიწის ნაკვეთებით სარგებლობა მხოლოდ კოლმეურნეებისათვის იყო ნებადართული, ამჟამად მოქმედი კონსტიტუცია კი ყველა მოქალაქეს რთავს ამის ნებას.

ისმის კითხვა, როგორ ხორციელდება ამ შემთხვევაში პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა, ხომ არა გვაქვს საქმე მხოლოდ პირად ინტერესებთან, რა არის აქ საზოგადოებრივი, რა სარგებლობას აძლევს ასეთი შრომა საზოგადოებას, ხომ არ ეწინააღმდეგება საქმიანობის ასეთი სახე სოციალიზმს? ერთი შეხედვით, მართლაც შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმისათვის უცხოა პირადი მეურნეობის არსებობა. სოციალიზმის დროს ადამიანები მხოლოდ საზოგადოებრივ შრომას უნდა ეწეოდნენ. ჩვენში იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამ აზრს იზიარებდნენ და მათმა მოქმედე-

ბამ გარკვეული ზიანი მიაყენა არა მხოლოდ პირად მეურნეობებს, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკას, როგორც სოფლის, ისე ქალაქის მოსახლეობის პროდუქტების მომარაგების საქმეს.

შრომითი საქმიანობა სოციალისტურია, თუ არ არის სოციალისტური განისაზღვრება არა იმის მიხედვით, ადამიანი სად შრომობს და სარგებლობს თუ არა პირადი მეურნეობით, არამედ იმის მიხედვით, რას ეყრდნობა შრომა, რა მიზანი აქვს მას და რა დანიშნულებით მოიხმარება შრომის შედეგები. კონსტიტუციაში პირდაპირ და აშკარად მითითებულია, რომ პირადი საკუთრება, ან პირად სარგებლობაში არსებული ქონება არ შეიძლება იყოს არაშრომითი შემოსავლის წყარო, იგი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოების ინტერესების საზიანოდ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქეთა პირადი საკუთრება არ არის კერძო საკუთრება, რომელიც დამახასიათებელია, მაგალითად, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის და რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება ადამიანის მიერ ადამიანის დასაჩაგრავად. საბჭოთა მოქალაქეებმა რაციონალურად უნდა გამოიყენონ მიწის ნაკვეთები და დაიცვან სოციალისტური ცხოვრების წესის მოთხოვნები. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფო და კოლმეურნეობები ხელს უწყობენ მოქალაქეებს დამხმარე მეურნეობის გაძღოლაში. ჯერ ერთი, პირადი მეურნეობა დამოკიდებულია საზოგადოებრივზე, ვინაიდან იგი მოწყობილია სახელმწიფო მიწაზე, რომელიც პიროვნებებს ეძლევათ დროებით სარგებლობაში; მეორე, მოქალაქეები პირადი მეურნეობის გაძღოლისას სარგებლობენ სახელმწიფო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების მომსახურებით (მინერალური სასუქების, შხამქიმიკატებისა) და სხვა საშუალებებით).

პირადი და დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი საზოგადოებრივის შემოსავლის დამატებაა, რადგან იგი ეხმარება არა მარტო თვით მწარმოებლებს (ამით გარკვეულწილად თავისუფლდება შესაბამისი დაწესებულებები სოფლის პროდუქტებით მომარაგების ზრუნვისაგან), არამედ მთელი მოსახლეობის დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლით დიდდება საზოგადოებრივი წარმოების საქონლის მარაგი, იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შემოსავალი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ პირადი მეურნეობიდან მიღებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის რეალიზაცია წარმოებს სახელმწიფო ან სამომხმარებლო კოოპერაციის შესყიდვით და ერთი ნაწილი შედის საკოლმეურნეო ბაზარზე, რომელსაც ჯერჯერობით არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგების საქმეში.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ახალი კონსტიტუციის მიხედვით, მიწით სარგებლობის უფლება აქვს არა მარტო კოლმეურნეობების წევრებს, არამედ ყველა მოქალაქეს, მათ შორის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ ადამიანებსაც. ამჟამად მიმდინარეობს დიდი მოსამზადებელი სამუშაოები ამხანაგური მებოსტნეობისა და მებაღეობის განსავითარებლად ქალაქებსა და რაიონული ცენტრების შემოგარენში. ამით გაკეთდება მნიშვნელოვანი საქმე ჩვენი ეკონომიკისა და მთელი სოციალური ცხოვრების შემდგომი აღმავლობისათვის. ამხანაგური მებაღეობის მასობრივი განვითარება არის საზოგადოებრივი სიმდიდრის ახალი რეზერვების ამოქმედება. ეს არის დამატებითი მილიონობით ხორცისა და რძის, ხილისა და მწვანილის წარმოება. ამით ხელსაყრელი პირობები იქმნება ადამიანთა აღზრდისათვისაც. ახალგაზრდების სისტემატური ჩაბმა უშუალოდ შრომის პროცესში და თავისი კუთხის გამწვანებასა და მატერიალური დოვლათის წარმოებაში აქტიური

მონაწილეობა ფიზიკურად გააჯანსაღებს და მორალურად გააკეთილშობილებს მათ. ბუნების წიაღში რეგულარულად გასვლა და ბუნებასთან უშუალო ურთიერთობა (მწვანე ბალდვრეებსა და მთებში სიარული, მცენარეებსა და ფრინველებთან უშუალო სიახლოვე) სულიერ სიმშვიდეს შესძენს ჩვენს ახალგაზრდებს და განუმტკიცებს მათ მშვენიერებისადმი სიყვარულს. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია", ამბობს ძველი ანდაზა და ამ ჰარმონიის განვითარებაში დიდი მნიშვნელობა ექნება მეცნიერებისა და კულტურის მიღწევების ათვისებასთან ერთად უშუალო ფიზიკური შრომას ბუნების წიაღში. ქალაქიდან კვირაში ერთი-ორი დღით გასვლა სუფთა ჰაერზე და ხმაურისაგან დაცულ გარემოში მუშაობა სასარგებლო იქნება არა მარტო ჩვენი ახალგაზრდობისათვის, არამედ ქალაქის ძთელი მოსახლეობისათვის. მშვიდობიანმა ცხოვრებამ და ცხოვრების მაღალმა დონემ მკვეთრად გაახანგრძლივა ადამიანთა სიცოცხლე, რამაც საგრძნობლად გაზარდა პენსიონერთა რაოდენობა. ქალაქგარეთ ნაკვეთებში მუშაობა კიდევ უფრო შინაარსიანს გახდის მათ მოხუცებულობას. იგი ხელს შეუწყობს საბჭოთა მოქალაქეების ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, მკვეთრად გაზრდის მათ შემოქმედებით ენერგიას. ამიტომაა, რომ პარტია და მთავრობა შესაბამის ორგანიზაციებს ავალებს ისეთი პოლიტიკა გაატარონ მოსახლეობაში, რომ უზრუნველყონ პირადი დამხმარე მეურნეობის განვითარება და მისი სწორი შეხამება მსხვილ საზოგადოებრივ წარმოებასთან.

პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა, რა თქმა უნდა, სპეციფიკურ სახეს იღებს, ერთი მხრივ, კოლმეურნეობასა თუ ქარხანაში მუშაობისას და, მეორე მხრივ, პირად დამხმარე მეურნეობაში. პირველ შემთხვევაში წინა პლანზეა საზოგადოებრივი და მოქალაქეები თავიანთ პირად მატერიალურ თუ სულიერ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ იმდენად, რამ-

ღენადაც ქმნიან საზოგადოებისათვის სასარგებლოს. პირველ შემთხვევაში უშუალო ამოცანა პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაა და საზოგადოებრივი მისგან გამომდინარეობს. ორივე შემთხვევაში პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა სოციალიზმის პრინციპების საფუძველზე ხორციელდება.

1936 წელს მიღებული კონსტიტუციის მე-9 მუხლში აღნიშნულია, „მეურნეობის სოციალისტურ სისტემასთან ერთად, რომელიც სსრ კავშირში მეურნეობის გაბატონებულ ფორმას წარმოადგენს, კანონით დაშვებულია ერთპიროვნული გლეხთა და შინამრეწველთა წვრილი კერძო მეურნეობა (ხაზგასმა ჩვენია — გ. ც.), რომელიც დამყარებულია პირად შრომაზე და გამორიცხავს სხვისი შრომის ექსპლოატაციას“[1].

ახალ კონსტიტუციაში კი ნათქვამია: „სსრ კავშირში კანონის შესაბამისად ნებადართულია ინდივიდუალური შრომითი საქმიანობა შინამრეწველურ ხელოსნური სარეწების, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, აგრეთვე საქმიანობის სხვა სახეობანი, რომლებიც დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ მოქალაქეთა და მათი ოჯახის წევრთა პირად შრომაზე“[2].

როგორც ვხედავთ, არსებითი ხასიათის ცვლილებებია ცალკეულ დებულებებში, სახელდობრ, ინდივიდუალური საქმიანობა აღარ არის კერძო მეურნეობად მიჩნეული, ეს არ არის უბრალო ტერმინოლოგიური დაზუსტება და სრულყოფა. იგი ითვალისწინებს იმ ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა გასულილი 40 წლის განმავლობაში და რომლებმაც სახე უცვა-

---

1 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1968, გვ. 4.

2 იხ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), 1977, გვ. 13.

ლეს ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასაც. ჩვენს ქვეყანაში საქმიანობის ეს სახე აღარ ატარებს ქაოსურ ხასიათს და იგი არ შეიძლება გამოიყენებოდეს საზოგადოების საზიანოდ, პირიქით, მეურნეობის ამ სახეობასაც სახელმწიფო აწესრიგებს და უზრუნველყოფს მის გამოყენებას საზოგადოების ინტერესებისათვის, ე. ი. აქაც პირადი და საზოგადოებრივი ორგანულ ერთიანობაში განიხილება და პირადი საბოლოო ჯამში საზოგადოებრივით განისაზღვრება.

ეკონომიკურ სფეროში პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობის გარკვევისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეები მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ არა მხოლოდ უშუალოდ შრომითი შემოსავლით, არამედ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდანაც. ამ ფონდებს დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს და ამიტომაა, რომ მის ზრდას და სამართლიან გახაწილებას ყოველნაირად უწყობს ხელს სახელმწიფოს მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების ფართო მონაწილეობით.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემის ძოკლე დახასიათებიდანაც ირკვევა, რომ მუშის, კოლმეურნე გლეხის, ინტელიგენტის ჩვეულებრივი ყოველდღიური ''ბრომა უშუალოდ ინდივიდუალური საქმიანობის სახითაა მოცემული, მაგრამ გვევლინება საზოგადოებრივი მოღვაწეობის სახეობად.

3. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა და პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა

საბჭოთა ადამიანები სრულუფლებიანი მოქალაქეებია განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და ეკონომიკური მდგომარეობისა. მათი თანასწორუფლებიანობა უზრუნველყოფილია

ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამის გარანტიას, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა სახელმწიფო წარმოადგენს,რომელიც არის საერთო-სახალხო სახელმწიფო. იგი გამოხატავს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების მშრომელთა ნებასა და ინტერესებს. საერთო-სახალხო სახელმწიფოს იდეა წამოყენებულ იქნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ 1961 წ. პარტიის XXII ყრილობაზე, რომელმაც დაამტკიცა სკკპ ახალი პროგრამა. სწორედ ამ დოკუმენტში პირველად დასაბუთება საერთო-სახალხო სახელმწიფოს იდეამ. პროგრამაში მითითებულია, რომ ჩვენი ქვეყნის შინაგანი განვითარების პირობებმა მოხსნეს პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო გახდა საყოველთაო. მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამოხატვის ორგანოდ პროლეტარიატის დიქტატურის გადაქცევა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ ჩვენში ხორციელდება ოცდაათიანი წლებიდან ორმოცდაათიან წლებამდე და ჩამოყალიბებული სახე სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებასთან ერთად მიიღო. იგი წარმოადგენს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გაგრძელებას. საერთო-სახალხო სახელმწიფო ეფუძნება სოციალისტურ საზოგადოებაში არსებული ორი კლასის — მუშათა და გლეხთა კლასის საერთო ინტერესებს. საერთო-სახალხო სახელმწიფოს წარმოშობა არის მშრომელთა პოლიტიკური ხელისუფლების დემოკრატიზმის შემდგომი გაფართოებისა და გაღრმავების ახალი ეტაპი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებებში პარტიის XXV ყრილობაზე და საბჭოთა კონსტიტუციისა და ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის შესახებ, აგრეთვე სტატიაში „კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა“ შემდგომ გახავითარა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საერთო-სახალხო

სახელმწიფოს შესახებ. ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკა დემოკრატიულია, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მთელი მოსახლეობა არის ყველაფრის ბატონ-პატრონი, მშრომელები გახაგებენ თავიანთ ცხოვრებას, შრომას, განათლებას, მეცნიერებასა და კულტურას. სოციალისტური საზოგადოების წევრთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა სახელმძღვანელო პრინციპებია: დემოკრატიზმი, კოლექტივიზმი, ინტერნაციონალიზმი და სხვ.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს დემოკრატიულმა ბუხებამ თავისი ასახვა პოვა არა მხოლოდ ძირითადი კანონის პირველ მუხლში, სადაც მოცემულია საბჭოთა სახელმწიფოს განსაზღვრება, არამედ მრავალ სხვა მუხლში, რომლებიც ეხება სახელმწიფოს ორგანოების ფუნქციებს, საბჭოთა მოქალაქეების პოლიტიკური უფლებების, მოვალეობებისა და თავისუფლებების დახასიათებას.

საბჭოთა მოქალაქეები თავიანთ პოლიტიკურ ვალდებულებებს, მოვალეობებსა და თავისუფლებებს ახორციელებენ სახალხო დეპუტატების საბჭოების მეშვეობით, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ. სსრ კავშირში არსებობს საბჭოების მწყობრი სისტემა, დაწყებული სასოფლო და სადაბო საბჭოებიდან, გათავებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოთი. ყველაზე მრავალრიცხოვანია ადგილობრივი საბჭოები, რომლებიც ხელისუფლების ძირეული სახელმწიფო ორგანოებია და უშუალოდ ადგილებზე ახორციელებენ პარტიისა და მთავრობის დადგენილებებსა და მითითებებს. „ყველა საფეხურის საბჭოებიც, — განაცხადა მაისის პლენუმზე აძხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მთავრობაც, სამინისტროებიც და უწყებებიც, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიც დღენიადაგ უნდა უდარებდნენ თავიანთ მუშაობას კონსტიტუციის მოთხოვნებს. თვით პარტიული ორგანოებიც უფრო მეაც-

რად უნდა სთხოვდნენ პასუხს კომუნისტებს — სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელებს, იმისათვის, თუ როგორ ასრულებენ ისინი თავიანთ კონსტიტუციურ მოვალეობებს" [1].

რა ფუნქციები გააჩნია საბჭოებს?

საბჭოები უშუალოდ და მათ მიერ შექმნილი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ყველა დარგს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ მათს შესრულებას, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, დეპუტატთა საბჭოებში საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა წარმოებს კოლექტიურად, საჯაროდ, სრული თავისუფლებისა და საქმიანობის ატმოსფეროში, რაც უზრუნველყოფს პირადისა და საზოგადოებრივის სწორ შეხამებას. საზოგადოების მართვის ორგანოების დემოკრატიულობის მაჩვენებელია ისიც, რომ აღმასრულებელი და გახმკარგულებელი ორგანოების რეგულარული ანგარიშგება წარმოებს საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ფენები მონაწილეობენ მათ მუშაობაში.

მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირის განხორციელების ძიზნით სახალხო დეპუტატების საბჭოები და მათ მიერ შექმნილი ორგანოები სისტემატურად აცნობენ მოსახლეობას თავიანთი მუშაობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, ისინი ვალდებულნი არიან გულდასმით შეისწავლონ მშრომელთა ყოველი წინადადება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები ნამდვილად ხალხთა წარმომადგენლობითი ორგანოებია. მათ არჩევნებში შეუძლია ძო-

---

1 ლ. ი. ბრეჟნევი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის პროექტის შესახებ. მოხსენება სკკპ ცკ-ის პლენუმზე 1977 წლის 24 მაისს, გვ 18.

ნაწილეობა მიიღოს ყველა საბჭოთა მოქალაქემ, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად შეიძლება არჩეულ იქნეს სსრ კავშირის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 21 წელი. 1936 წელს მიღებულ კონსტიტუციაში სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში დეპუტატად შეიძლებოდა არჩეულიყო მხოლოდ ის მოქალაქეები, რომლებსაც 23 წელი შეუსრულდათ. დეპუტატთა ასაკის გაახალგაზრდავება გამოწვეულია მოსახლეობის იდეურ-პოლიტიკური დონის მკვეთრი ამაღლებით და იმ დიდი ნდობით, რომელსაც იმსახურებს ჩვენი ახალგაზრდობა.

დეპუტატების კანდიდატებად, ჩვეულებრივ, აყენებენ ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც გამოირჩევიან პოლიტიკური, საქმიანი და სხვა დადებითი პირადი თვისებებით. ისინი გამოირჩევიან არა მარტო თავიანთი საქმის ღრმა ცოდნით, არამედ მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებით, შეუძლიათ და მზად არიან ემსახურონ ხალხსა და საზოგადოებას. დეპუტატთა კანდიდატების შერჩევა და მათი თვისებების ყოველმხრივი განხილვა ნებადართული და გარანტირებულია კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

თითოეულმა დეპუტატმა კარგად უნდა აითვისოს და გააანალიზოს თავისი უფლებები და მოვალეობანი. მან უნდა იცოდეს, რომ იგი საბჭოში მუშაობით სხვებთან ერთად წყვეტს სახელმწიფო სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს; ამავე დროს ვალდებულია უზრუნველყოს საბჭოების გადაწყვეტილებათა განხორციელება სახელმწიფო ორგანოების, საწარმოო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ.

სახალხო დეპუტატი ხალხის წარმომადგენელია და თავისი მოღვაწეობით სახალხო დეპუტატთა საბჭოებში, სადაც წყდება სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული

ნშენებლობის საკითხები, ხელმძღვანელობს როგორც საზო-გადოებრივი, ასევე პირადი ინტერესებით იმ ხალხთა, რომლებმაც ის აირჩიეს და თავის წარმომადგენლად გაგზავნეს. მან უნდა შეუხამოს ერთმანეთს სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი და ინდივიდუალურ ადამიანთა ინტერესები. „თავის საქმიანობაში, — ნათქვამია კონსტიტუციის 103-ე მუხლში, — დეპუტატი ხელმძღვანელობს საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებს საარჩევნო ოლქის მოსახლეობის ძოთხოვნილებებს, იღვწის ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის“.

დეპუტატის ამ მაღალი უფლება-მოვალეობის შესრულებისათვის ყველა პირობაა შექმნილი ჩვენს ქვეყანაში.

მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატად ირჩევენ ხალხის რჩეულებს, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა სრულ საფუძველს იძლევა ასეთი მაღალი ნდობისათვის, მათი მუშაობა ძაინც არ რჩება კონტროლის გარეშე. დეპუტატი ვალდებულია დროდადრო ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს თავისი და საბჭოს მუშაობის შესახებ. ამომრჩევლები, თავის მხრივ, ვალდებულნი არიან კონტროლი გაუწიონ მათ მიერ წარგზავნილის მუშაობას და, თუ ის ვერ ამართლებს იმედებს, დააყენონ საკითხი თავიანთი დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ. ამომრჩეველთა ეს უფლება შემდეგნაირადაა განსაზღვრული კონსტიტუციაში: „დეპუტატი, რომელიც ვერ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას, ნებისმიერ დროს შეიძლება გაწვეულ იქნეს ამომრჩეველთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით კანონით დადგენილი წესის შესაბამისად“. ამ უფლების რეალობაზე ძიუთითებს ის ცალკეული შემთხვევები, როცა დეპუტატობიდან გაწვეულ იქნენ ის ადამიანები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა იმედები. „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე სხვადასხვა საფეხურის საბჭოებიდან, — ამბობს ამხ.

ლ. ი. ბრეჟნევი, — მათ შორის უმაღლესი საბჭოდან, გამოწვეულია 4 ათასამდე დეპუტატი, რომლებმაც ამა თუ იმ თვალსაზრისით ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა ნდობა. ასე რომ, ეს დემოკრატიული უფლება ჩვენში მარტო დეკლარირებული კი არ არის, არამედ პრაქტიკულადაც ხორციელდება, თავიანთი საქმიანობისათვის დეპუტატთა პასუხისმგებლობის აძაღლების კარგი საშუალებაა"[1]. ყოველი დეპუტატის საპატიო მოვალეობაა უშუალოდ და აქტიურად მონაწილეობდეს საზოგადოების მართვის საქმეში, იყოს ხალხის ინტერესების სადარაჯოზე, არ ზოგავდეს ძალას, ენერგიასა და გამოცდილებას, რათა კეთილსინდისიერად ემსახუროს პარტიასა და ხალხს კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების გადაწყვეტაში. დეპუტატი წარმოადგენს შუალედურ რგოლს ხალხის მასებსა და საზოგადოებას შორის. მას ღრმად უნდა ჰქონდეს გააზრებული საზოგადოების წინაშე მდგომი ამოცანები და მოთხოვნილებები იმ ადამიანთა, რომლებმაც ის აირჩიეს. მას უნდა შეეძლოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესახებ კონკრეტული შემთხვევებისა და სიტუაციების გათვალისწინებით, თანაც ეს ისეთნაირად უნდა განხორციელდეს, რომ არ შეფერხდეს საზოგადოებრივი პროგრესი და არ შეილახოს პირადი ინტერესები.

პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების დასაკავშირებლად პოლიტიკურ სფეროში ჩვენი ქვეყნის ძირითადი კახოხი სხვა ფორმებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, სახელმწიფო და საზოგადოების უმნიშვნელოვანესი საკითხები, ჩვეულებრივად, საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანი ხდება და ყოველ საბჭოთა მოქალაქეს შეუძლია უშუალო მონაწილეობა

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა. თბილისი, 1977, გვ. 12.

მიიღოს მის განხილვაში. საბჭოთა ხალხმა დიდი პოლიტიკური აქტიურობა გამოავლინა მესამე და მეოთხე საბჭოთა კონსტიტუციების პროექტთა განხილვის პროცესში. თუ გავითვალისწინებთ, რომ მეოთხე საბჭოთა კონსტიტუციის პროექტის განხილვაში გაცილებით მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, ვიდრე 1936 წელს. როცა იხილებოდა რიგით მესამე საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი (1936 წ. კონსტიტუციის პროექტის განხილვაში მონაწილეობა მიიღო 50-მა მილიონმა კაცმა, საკონსტიტუციო კომისიაში შევიდა 154 ათასი წინადადება, ხოლო 1977 წელს განხილვაში მონაწილეობა მიიღო 140-მა მილიონმა კაცმა, ხოლო შესაბამის კომისიაში შევიდა 400 ათასი წინადადება), ნათელი იქნება, რომ განუხრელად იზრდება საბჭოთა მოქალაქეების პოლიტიკური და სოციალური აქტივობა. ეს გამოწვეული არის იმით, რომ ხალხი გრძნობს ჩვენი სახელმწიფოს დიდ ზრუნვას მათდამი. „როცა ასეთ გამოსვლებსა და წერილებს უფიქრდები. გამოგაქვს ერთი დასკვნა: მათში ხომ ასახულია სოციალიზმის უდიდესი გამარჯვება — ახალი ადამიანი, რომელიც სახელმწიფოსაგან არ გაბოჭყოფს თავის თავს და ღვიძლ საქმედ მიაჩნია სახელმწიფო და საერთო-სახალხო ინტერესები“[1].

სსრ კავშირის მოქალაქეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა მართვაში, საერთო-სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებების განხილვასა და მიღებაში. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების კვალობაზე მეტად დამახასიათებელია მილიონობით მოქალაქის სულ უფრო აქტიური მონაწილეობა ხელისუფლების, სახალხო კონტროლის ორგა-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, 1977, გვ. 5.

ნოების მუშაობაში, წარმოებისა და განაწილების მართვაში, სოციალურ და კულტურულ პოლიტიკაში, მართლმსაჯულების აღსრულებაში. ერთი სიტყვით, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებასთან ერთად ხდება ჩვენი სახელმწიფოებრიობის თანდათანობით გადაზრდა კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად. საბჭოთა მოქალაქეებს კონსტიტუციანებას რთავს სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში შეიტანოს წინადადებანი მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. ჯანსაღი და სამართლიანი კრიტიკა გარანტირებულია კონსტიტუციით და კრიტიკისათვის მდევნელი პირნი პასუხისგებაში მიეცემიან.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, იგი მძლავრი საშუალებაა იმისათვის, რომ სწორი და სოციალისტური ცხოვრების წესის შესაბამისი თანაფარდობა დამყარდეს საზოგადოებრივსა და პირად ურთიერთობაში. კრიტიკა საჯარგებლო და აუცილებელია ჩვენი საზოგადოებისათვის არა მხოლოდ მაშინ, როცა სახეზეა შეცდომები და ხარვეზები, არამედ მაშინაც, როცა ჩავარდნებსა და ბოროტებას ადგილი არა აქვს, მაგრამ არის მუშაობის გაუმჯობესებისა და სრულყოფის შესაძლებლობა, თუ ადამიანები უფრო ენერგიულად წარმართავენ საქმეს და სათანადოდ იზრუნებენ ახალი რეზერვების აღმოსაჩენად. კრიტიკისა და თვითკრიტიკის დროს გარკვეული სიძნელეები არსებობს საზოგადოებრივისა და პირადის სწორი დაკავშირების საქმეში. ამა თუ იმ პიროვნების მიერ ჩადენილი დანაშაული ან მისი ინერტიულობა როცა უშუალოდ მსჯელობის საგანი ხდება, იგი ყოველთვის სწორად არ გაიგება. ზოგიერთს უჭირს საკუთარი შეცდომების აღიარება, ყველაფერს საწყენად იღებს და ყველაფერზე მსჯე-

ლობს შეურაცხყოფილი პირადი თავმოყვარეობის თვალთა-ხედვით. რასაკვირველია, ფსიქოლოგიურად სასიამოვნო ფაქ-ტი არ არის, როცა საკუთარ ნაკლზე მიგითითებენ, მაგრამ პი-როვნება ვალდებულია დაძლიოს შინაგანი უკმაყოფილება და პროტესტი, რომელიც საღმა კრიტიკამ გამოიწვია და იზრუნოს ნაკლოვანებების აღმოფხვრისათვის. კრიტიკამ არ უნდა შელა-ხოს და დაამციროს პიროვნება, აუცილებელია დაცულ იქნეს ზომიერება და სათანადო ტაქტი როგორც ცალკეული პიროვ-ნებების, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციებისა და დაწესებუ-ლებების მხრივ. მაგრამ თუკი კრიტიკა სამართლიანია, იგი მტკივნეულად არ უნდა აღიქვან იმ ადამიანებმა, რომლებსაც ის ეხება, საერთო-სახელმწიფოებრივ, საერთო-საზოგადოებ-რივ ინტერესებს არ უნდა მიუდგეს ეგოისტური და უწყებრივი პოზიციებიდან. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია კოლექტივს, საზოგადოებრიობას.

კრიტიკისა და თვითკრიტიკის მაღალი და ჯანსაღი დონე საშუალებას იძლევა დროულად იქნეს შემჩნეული საზოგადო-ებაში მიმდინარე ახალი და დადებითი მოვლენები, მხარი დაე-ჭიროს ყოველივე პროგრესულს, გავრცელდეს იგი და მთელი საზოგადოების კუთვნილება გახდეს. კრიტიკა და თვითკრი-ტიკა დროებითი და ეპიზოდური აქტი არ არის, იგი გახუხრე-ლად და საქმიანად უნდა მოქმედებდეს. რაც არ უნდა სწორი და გონივრული იყოს საზოგადოების გეგმაზომიერი მართვა, იგი არ გამორიცხავს მიღებული გადაწყვეტილებების შემდგომი კრიტიკული შეფასების აუცილებლობას. მეცნიერულ საფუ-ძვლებზე აგებული ყოველი გეგმა რეალიზაციის პროცესში, ჩვეულებრივ, მოითხოვს გარკვეული კორექტივების შეტანას. უშუალო მართვის პროცესში ყოველთვის გამოჩნდება გაუ-თვალისწინებელი მომენტები, რომელთა შემჩნევა და სრუ-ლად მხედველობაში მიღება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი,

როცა კრიტიკა და თვითკრიტიკა ერთი წუთითაც არ მოდუნდება და განუხრელად იმოქმედებს. „ჩვენ მუდამ უნდა ვამოწმებდეთ ჩვენს თავს, — აშბობდა ვ. ი. ლენინი, — უნდა ვსწავლობდეთ პოლიტიკურ მოვლენათა ჯაჭვს მთლიანად, მათ მიზეზობრივ კავშირს, მათ შედეგებს. გუშინდელი დღის შეცდომების ანალიზით ჩვენ ვსწავლობთ შეცდომების თავიდან აცილებას დღესა და ხვალ“ [1]. კრიტიკისა და თვითკრიტიკის დროს საერთო-საზოგადოებრივი და პირადი სწორ შეხამებაში მოდის ერთმანეთთან, მხოლოდ მათ შორის თანაფარდობის გარკვევისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების განვითარების მოცემული ეტაპი და კონკრეტული სიტუაცია.

საბჭოთა მოქალაქეებს პირადი ინიციატივის გამოვლენის მიზნით პოლიტიკურ სფეროში კონსტიტუციით გარანტირებული აქვს სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციის თავისუფლება, სსრ კავშირის მოქალაქე ხელშეუხებელია, არ შეიძლება მისი დაპატიმრება, თუ არ იქნა სასამართლოს გადაწყვეტილება ან პროკურორის სანქცია.

პიროვნების დამოუკიდებლობისა და თავისუფალი მოღვაწეობისათვის მეტად მნიშვნელოვანია ის, რომ საბჭოთა მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ ბინის ხელშეუხებლობა. მის პირად ცხოვრებას, მიმოწერას, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლოს კანონი იცავს და სხვ. მაგრამ საბჭოთა მოქალაქეების უფლებები და თავისუფლებები არ არის აბსტრაქტული ხასიათის და საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ ინდიფერენტული. მარქსიზმ-ლენინიზმი ისტორიული პირობების გათვალისწინების საფუძველზე წყვეტს ადამიანთა თავისუფლების საკითხს. საზოგადოების

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26. გვ. 43.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიით დამტკიცებული ჭეშმარიტებაა, რომ არ არსებობს თავისუფლება საერთოდ, არის აბა თუ იმ კონკრეტული სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციით განსაზღვრული ადამიანთა თავისუფლების მასშტაბი და დოზე. ბურჟუაზიული სოციოლოგები და ფილოსოფოსები ქადაგებენ აბსოლუტურ თავისუფლებასა და მოითხოვენ პიროვნებას ჰქონდეს ყველაფრის უფლება და ყველაფრის გაკეთების შესაძლებლობა. ეს არ არის თეორიულად სწორი და პრაქტიკულად განხორციელებადი. საბჭოთა კონსტიტუცია სრულიად სამართლიანად მოითხოვს, რომ მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება ზიანს არ უნდა აყენებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. ეს კანონიერი მოთხოვნაა და იგი აუცილებელია დაცულ იქნეს ყველა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სამართლიანად აკრიტიკებდა იმ ბურჟუაზიულ მოაზროვნეებს, რომლებიც ილაშქრებდნენ კონსტიტუციის ზემოაღნიშნული მოთხოვნის წინააღმდეგ. ეს მოთხოვნა, თქვა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, „მთლიანად შეესაბამება უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს...". „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში სრულიად ნათლად არის ნათქვამი, რომ „თითოეულ ადამიანს აკისრია მოვალეობა იმ საზოგადოების წინაშე, რომელსაც ერთადერთს შეუძლია მიანიჭოს მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარების შესაძლებლობა", და რომ მოქალაქეთა უფლება-თავისუფლებების განხორციელება მოითხოვს „სხვების უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვან აღიარებასა და პატივისცემას, და მორალის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნის დაკმაყოფილებას დემოკრატიულ საზოგადოებაში".

ასეთია დემოკრატიული საზოგადოებრივი ცხოვრების მსო-

ფლიოში აღიარებული პრინციპი. სხვა არაფერია, ბატონო კრიტიკოსებო, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის იმ დებულებებში, რომლებიც თქვენს თვალთმაქცურ აღშფოთებას იწვევენ"[1].

ჩვენი საზოგადოების დემოკრატიულობა იძლევა საფუძველს მშრომელები იყვნენ ყველაფრის ბატონ-პატრონნი, ისინი თვითონ განაგებდნენ თავიანთ ცხოვრებას, საკუთარ ინიციატივას ამჟღავნებდნენ შრომასა, განათლებასა და კულტურის განვითარებაში. დემოკრატიულობის პრინციპი იხდივიდუალური უნარისა და ინიციატივის გამოვლენის აუცილებელი პირობაა პოლიტიკის სფეროში. მაგრამ ინდივიდთა თავისუფალი მოქმედება და ხალხის ნება-სურვილის რეალიზაცია არ ატარებს ანარქიულ ხასიათს, იგი არ ხასიათდება მოუწესრიგებლობით. ხალხის თავისუფალ ცხოვრებასა და მოღვაწეობას აწესრიგებს და ერთიანი მიმართულებით წარმართავს ცენტრალიზმის პრინციპი. თუ მართვის დემოკრატიულობა ხელს უწყობს ადამიანთა ინიდივიდუალური მოქმედების ყოველმხრივ განვითარებას, ცენტრალიზმი აერთიანებს და რაზმავს ადამიანებს საზოგადოებრივი ინტერესების გარშემო, საზოგადოებრივი განვითარების ძირითად მიმართულებას უქვემდებარებს მასების თავისუფალ მოღვაწეობას. დემოკრატიული ცეხტრალიზმი გამოხატავს პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკას პოლიტიკის სფეროში.

სოციალისტურმა საზოგადოებამ მოსპო ადამიანის ძიერ ადამიანის ექსპლოატაცია და შექმნა ადამიანის ყოველმხრივად განვითარების საფუძველი. წინააღმდეგ ჩვენი იდეოლოგიური მტრებისა — მაღალი დონე მრეწველობისა და სოფლის მეურ-

---

1 ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ, 1977, გვ. 23.

ნეობის განვითარებაში, არსებითი განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს, გონებრივსა და ფიზიკურ შრომას შორის არ გამოიწვევს პიროვნებათა ინდივიდუალურობის დაკარგვასა და მათ სტანდარტიზაციას. პირიქით, უკლასო საზოგადოების აშენება უფრო სრულად დააკმაყოფილებს ადამიანთა ძატერიალურსა და სულიერ მოთხოვნილებებს, უფრო მეტი შესაძლებლობა ექნებათ ადამიანებს თავიანთი ძალებისა და უნარის განვითარებისათვის. განვითარებული ადამიანები სულიერად უფრო მდიდარნი იქნებიან და უფრო ფართო დიაპაზონის მქონენი. ამის შესაბამისად ისინი უფრო დამოუკიდებლად იაზროვნებენ და უფრო მეტად გაიზრდება თითოეული ძოქალაქის ინდივიდუალური წვლილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ კლასობრივ ანტაგონისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივ ცხოვრებას ინდივიდუალური ელფერი ჰქოხდა იმ პიროვნებებისა, რომლებიც უმთავრესად გაბატონებული წრის წარმომადგენლები იყვნენ და თითქმის სრულიად იკარგებოდა მშრომელი ხალხის ნიჭიერი და უნარიანი ადამიანების შესაძლებლობები (ვინ იცის კლასობრივმა ანტაგონისტურმა საზოგადოებებმა რამდენი ასეთი ადამიანი ჩაკლეს მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი გაბატონებულ წრეს არ ეკუთვნოდნენ), კომუნიზმის დროს საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებით უფრო მრავალფეროვანი იქნება, საზოგადოებრივ ცხოვრებას გაძრავალფეროვნებს მილიონობით ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებანი, აღარ ჩაკვდება ცალკეული პიროვნებათა ინიციატივა და საზოგადოება გაცილებით ჩქარი ტემპით გახვითარდება. ეს იქნება ნამდვილად თავისუფალ ადამიანთა საზოგადოება, თანასწორობისა და ურთიერთდახმარების პრინციპებზე აგებული კოლექტივი. მთლიანად საზოგადოება ქმნის რა ხელსაყრელ პირობებს პიროვნების ყოველმხრივი გახვითარებისათვის ყოველი ცალკეული ადამიანის ბედი სულ უფრო

მეტად ხელება დამოკიდებული საკუთარ ინდივიდუალურ ძალისხმევებზე. სოციალიზმის დროს ყოველი ადამიანი საკუთარი შრომის ბატონ-პატრონია. ასეთი პიროვნებები აღარ არიან ეგოისტური გრძნობებით დამძიმებულნი, თავიანთი ძალების, უნარისა და ნიჭის განვითარებით ისინი წინ სწევენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. პირადი და საზოგადოებრივი განუყოფელია ერთმანეთისაგან სოციალისტურ საზოგადოებაში, არ შეიძლება რომელიმეს უგულებელყოფა. კომუნიზმის მშენებელთა ინდივიდუალური თავისებურებების ყოველმხრივი განვითარება არა თუ არ გამორიცხავს, არამედ გარდუვალად განაპირობებს და განამტკიცებს საზოგადოების წევრთა იდეურ ერთიანობას. ეს გარემოება, თავის მხრივ, მოითხოვს საზოგადოების მართვის სისტემის და თითოეული შრომითი კოლექტივის ორგანიზაციის შემდგომ სრულყოფას. საბჭოთა ადამიანები ფლობენ მრავალ უფლებასა და თავისუფლებას, მაგრამ ამავე დროს მათ მრავალი მოვალეობაც აკისრიათ საზოგადოების წინაშე. ამჟამად, როცა სახალხო მეურნეობის განვითარების მეათე ხუთწლიანი გეგმის დევიზია ბრძოლა ხარისხისა და ეფექტიანობისათვის, ყოველი დაწესებულების, ყოველი ადამიანის მოვალეობაა უფრო აქტიურად ჩაებას წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, უმცირესი დანახარჯებით უმაღლესი შედეგების მიღწევისათვის საერთო-სახალხო ბრძოლაში. ყოველ საბჭოთა მოქალაქეს ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული, თუ რა უნდა გააკეთოს მან თავის სამუშაო ადგილზე, ქარხანაში, ფაბრიკაში, ყანაში, ფერმაში, კვლევით ინსტიტუტსა თუ სხვაგან. ამავე დროს იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მისი თავდადებული მრომა სათანადოდ დაფასდება როგორც მატერიალური ანაზღაურების, ასევე საზოგადოებრივი აღიარების თვალსაზრისით. აქედან ბუნებრივია, ჩვენი ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ჩვე-

ნი ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი ხალხის ბედნიერებისა და სიხარულის დამკვიდრებისათვის სახელმწიფოსთან ერთად უნდა ზრუნავდეს ყოველი მოქალაქე და შეძლებისდაგვარად იჩენდეს თაოსნობას. რამდენი კარგი საქმე გაკეთებულა და კეთდება პირადი თაოსნობით. სოციალისტური საზოგადოება ინდივიდუალური თაოსნობის გამოჩენისათვის არნახულ პირობებს ქმნის.

სახელმწიფოს წმიდათაწმიდა მოვალეობაა განუხრელად ზრუნავდეს ხალხის კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს სრულებით არ ათავისუფლებს მის მოქალაქეებს, პირიქით, ავალებს, რაც შეიძლება მეტი პირადი თაოსნობა გამოიჩინონ და მუდამ ზრუნავდნენ ცხოვრების გაუმჯობესებისა და გალამაზებისათვის. სახელმწიფოსა და პიროვნების ზრუნვასა და ინიციატივაში ორგანულად ერწყმის პირადი და საზოგადოებრივი. პირადი და საზოგადოებრივი ინტერესებისა და უფლებების შეხამება კონსტიტუციურადაა განმტკიცებული და მისი დაცვა ევალება როგორც მოქალაქეებს, ასევე სახელმწიფოსა და მის ორგანიზაციებს. სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია, — აცხადებს ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი, — იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, იგი მოვალეა იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია. თავის მხრივ, სახელმწიფო, მისი ორგანოები და ორგანიზაციები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ მოქალაქეთა პიროვნების პატივისცემა, მისი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. საკონსტიტუციო დონეზეა აყვანილი ყოველი საბჭოთა მოქალაქის ოჯახის კეთილდღეობა, მისი ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფის, კეების, საყოფა-

ცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საკითხები. სახელმწიფო შესაბამისი ორგანიზაციებით ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და სოციალურ-ეკონომიკური კვების სამსახურებს, გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწევს ოჯახებს სხვა დახმარებასა და შემწეობას. სახელმწიფოებრივ დონეზეა დაყენებული მოქალაქეთა ბინით უზრუნველყოფა. ბინების მშენებლობის ხარჯები წლიდან წლამდე იზრდება. ამჟამად ყოველწლიურად შვიდჯერ მეტი საცხოვრებელი ბინა შენდება, ვიდრე 1936 წელს. ჩვენს ქვეყანაში საშუალოდ ყოველწლიურად საბინაო პირობებს იუმჯობესებს დაახლოებით 28 მილიონი კაცი. ჩვენთან ყველაზე დაბალი საბინაო გადასახადია მსოფლიოში. იგი მუშის საოჯახო ბიუჯეტის სამ პროცენტზე მეტს არ შეადგენს, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში კი 20 — 30 პროცენტს აღემატება. სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანია მატერიალური უზრუნველყოფა იმ საბჭოთა მოქალაქეებისა, რომლებიც მოხუცებულობის, ავადმყოფობის, შრომის უნარის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის გამო საჭიროებენ დახმარებას.

ამრიგად, საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითადი მიზანია ადამიანთა კეთილდღეობისათვის ზრუნვა. თუ როგორ სრულდება სახელმწიფოს პოლიტიკა რესპუბლიკებსა და სახალხო მეურნეობის ცალკეულ სფეროებში ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირებისა და თვით მშრომელთა უნარსა და აქტიურობაზე, მათი მოქმედების მასშტაბსა და ხარისხზე. პარტია და მთავრობა სისტემატურად უწევს კონტროლს სახელმწიფო ორგანოებისა და ორგანიზაციების მუშაობას, ავლენს მათ მუშაობაში

ნაკლოვანებებსა და სახავს რეალურ გზებს მათ აღმოსაფხვრელად.

სკკპ ყრილობების, პლენუმებისა და სხვა სახის დადგენილებებში ღრმად და საფუძვლიანადაა გაანალიზებული პარტიისა და სახელმწიფო ორგანიზაციების როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები, მათი საქმიანობის შეფასების მთავარი და ძირითადი კრიტერიუმი არის ის, თუ როგორ აკმაყოფილებენ ისინი მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის 22 თებერვლის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ". ეს დადგენილება საზოგადოების ყველა სფეროს შეეხო, ძან გარდატეხა მოახდინა საქართველოს რესპუბლიკის ცხოვრებაში. სხვა ნაკლოვანებებთან ერთად მითითებული იყო იმაზეც, რომ საქართველოს პარტიული ორგანოების მუშაობაში შეიმჩნეოდა ნაკლოვანებანი კადრების შერჩევის საქმეში. ძალიან ხშირად ხელმძღვანელ პოსტებზე ნიშნავდნენ პირადი ერთგულების, ნათესაური და მეგობრული ურთიერთობის ნიშნით. აღნიშნული დადგენილების შემდეგ არსებითად შეიცვალა საქმის ვითარება რესპუბლიკაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა თავის მორიგ დადგენილებაში — „პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მიმდინარეობის შესახებ" — სრულიად სამართლიანად მიუთითა: „რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მტკიცე ბრძოლა გაშალა კადრების შერჩევის, გახაწილებისა და აღზრდის ლენინური პრინციპების მკაცრად დაცვი-

სათვის. მეტ ზრუნვას იჩენენ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი კადრების იდეურ-პოლიტიკური და საქმიანი დონის ამაღლებისათვის, მათ მეტ პასუხს სთხოვენ მინდობილ უბანზე მუშაობის შედეგებისა და ადამიანთა აღზრდისათვის"[1]. ეს დოკუმენტი დიდ როლს ასრულებს და შეასრულებს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებაში.

განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა ქვეყნის ცხოვრების მართვაში წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური განვითარების ცენტრალურ მიმართულებას. იგი ავალებს ყოველ საბჭოთა მოქალაქეს მოელი შეგნებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. ჩვენი ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი რეზერვია მშრომელი ადამიანების შემოქმედებითი აქტიურობა. ეს ღრმად უნდა ჰქონდეს გააზრებული ყოველი თანამდებობის პირს, რა უბანსაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს ის. პარტიულმა და საზოგადოებრივმა ხელმძღვანელობამ აუცილებელია მხარი დაუჭიროს ნოვატორების მიერ წამოყენებულ ყოველ მნიშვნელოვან თაოსნობას და იზრუნოს მათი ცხოვრებაში დანერგვისათვის.

მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეების, შრომითი კოლექტივების, ქალაქებისა და რაიონების, რესპუბლიკებისა და ოლქების დაჯილდოება ორდენებითა და გარდამავალი დროშით, პრემიებითა და სხვა წამახალისებელი საშუალებებით, რომლებმაც განსაკუთრებული შედეგები მოიპოვეს შრომაში, ნათლად მოწმობს, რომ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დიდ

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ", თბილისი, 1976, გვ. 7-8.

ყურადღებას უთმობს მშრომელთა მასობრივი ინიციატივის განვითარებას. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა და მშრომელები აქტიურად გამოეხმაურნენ დისციპლინის განმტკიცებისათვის საერთო-სახალხო მოძრაობას. ამ მიმართულებით გახსაკუთრებით აღსანიშნავია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის შრომითი კოლექტივის ინიციატივა — „სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია". „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით". ამ ინიციატივამ ფართო მხარდაჭერა პოვა რესპუბლიკის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში.

მშრომელთა ინიციატივის განვითარებას ყოველმხრივ უწყობს ხელს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური პოლიტიკა. მშრომელთა აქტივობას იმ მიმართულებით წარმართავს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ერთნაირად პასუხობს ხალხისა და მთელი საზოგადოების ინტერესებს. აქაც ორგანულ კავშირშია პირადი და საზოგადოებრივი ინტერესები. ყოველი რაციონალური წამოწყების წარმოებაში დანერგვა ხელს უწყობს არა მარტო წარმოებისა და მთელი საზოგადოების განვითარებას, არამედ თვით რაციონალიზატორთა კეთილდღეობას. ამავე დროს პარტია და სახელმწიფო განუწყვეტლივ ზრუნავენ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლებისათვის, ადამიანთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი პროფესიული მომზადების და განათლების შემდგომი სრულყოფისათვის, ყველაფერი ეს, თავის მხრივ, ქმნის პირობებს ინიციატივის შემდგომი გამოვლენისა და დანერგვისათვის და ა.შ.

ამრიგად, ფართო და მრავალმხრივია სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური მოღვაწეობა. იგი ეფუძნება ჩვენი

ქვეყნის მუშათა და გლეხთა კლასებისა და სოციალური ჯგუფების ძირეული ინტერესების ერთობას, ხალხთა შორის მეგობრობასა და ურთიერთდახმარებას, რაც აპირობებს სახელმწიფოსა და მართვის ყველა რგოლის მთელი საქმიანობის შერწყმას საზოგადოებისა და ხალხთა მასების მისწრაფებებთან და მოთხოვნილებებთან. ჩვენს ქვეყანაში არის ნამდვილი დემოკრატიული საზოგადოება, რომლის პოლიტიკური სისტემა ახორციელებს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების გეგმაზომიერ მართვას, უზრუნველყოფს მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს საქმეებში, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გონივრულ შეხამებას მათს საზოგადოებრივ მოვალეობებთან.

4. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერებისა და ეროვნებების ურთიერთობა და პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა

საბჭოთა კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოა და მისი სიმტკიცე და ძლიერება ბევრადაა დამოკიდებული ეროვნული საკითხის სწორ გადაჭრაზე. ოქტომბრის რევოლუციამ შექმნა ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები ერებს შორის თანასწორობისა და მეგობრული ურთიერთობების დასამყარებლად. საბჭოთა სახელმწიფო იცავს ყოველი ერისა და ეროვნების ინტერესებს. ჯერ კიდევ პირველ საბჭოთა კონსტიტუციაში, რომელიც მიღებულ იქნა 1918 წლის 10 ივლისს სრულიად რუსეთის V ყრილობაზე, გამოცხადებული იყო ერებისა და რასების თანასწორობა. ოქტომბრის რევოლუციის დღიდანვე პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეურიგებელი ბრძოლა გააჩაღეს დიდმპყრობელური შოვინიზმისა და ადგილობრივი ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წიანააღმდეგ, გან-

ვლილი 60 წლის განმავლობაში დიდი მუშაობა ჩატარდა საბ-ჭოთა სახელმწიფოში შემავალი ერებისა და ეროვნებების და-ახლოებისა და მათ შორის საქმიანი მეგობრული ურთიერთობ-ების დასამყარებლად ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და სხვა სფეროში. მიუხედავად იმისა, რომ სოციალიზმამდე ერები და ეროვნებები მოვიდნენ განვითარების სხვადასხვა დონით, სხვადასხვა მასშტაბით ფლობდნენ კულტურულ ღი-რებულებებს და ა. შ., მათ შორის შეუძლებელი გახდა მოსპო-ბილიყო ყოველგვარი სოციალური უთანაბრობა და პრივილე-გიები, ყველა ერისა და ეროვნების იურიდიული და ფაქტობ-რივი თანასწორობის, მათი ძმური თანამშრომლობის საფუ-ძველზე შეიქმნა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა, საბ-ჭოთა ხალხი. მას გააჩნია ისეთი საერთო თვისებები როგორი-ცაა: ერთიანი ეკონომიკა, ერთიანი იდეოლოგია, ერთიანი მი-ზანი. საბჭოთა ხალხის, როგორც ახალი ისტორიული ერთობის ჩამოყალიბება, არის სოციალისტური ერებისა და ეროვნებე-ბის დიდი გამარჯვება, მათი საზოგადოებრივი საქმიანობის დიდი ისტორიული შედეგი, პირადისა და საზოგადოებრივის შეხამების მაჩვენებელი. პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა ეროვნულ სფეროში ვლინდება არა მარტო ცალკეული ადამიანებისა და მათთვის საერთო ეროვნული ინ-ტერესების ურთიერთმიმართებაში, არამედ ეროვნულისა და ინტერნაციონალურის დამოკიდებულებაშიც. ამის გადაჭრის სწორ თეორიას წარმოადგენს პროლეტარული ინტერნაციონა-ლიზმისა და ხალხთა მეგობრობის ურთიერთობის მარქსის-ტულ-ლენინური მოძღვრება, რომელმაც თავისი პრაქტიკუ-ლი განხორციელება პირველად ჩვენს ქვეყანაში პოვა.

საბჭოთა კავშირის ერებსა და ეროვნებებს შორის მეგო-ბრული და საქმიანი ურთიერთობების განმტკიცება აისახა და განზოგადდა ახალი კონსტიტუციის მთელ რიგ დებულებებში.

საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მისი ინტერნაციონალურობა. იგი აკავშირებს ყველა ერსა და ეროვნებას კომუნიზმის მშენებლობის მიზნით. მის ინტერნაციონალურ ხასიათზე მიუთითებს სსრ კავშირის კანონების მოქმედების თანაბარი ძალა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე. საზოგადოებრივის მაღლა დგომა პირადზე ვლინდება ეროვნულ სფეროშიც. კონსტიტუციის ერთ-ერთი ბუნდოვანი მიუთითებს იმაზე, რომ საერთო-საკავშირო კანონისაგან მოკავშირე რესპუბლიკის კანონის განსხვავების შემთხვევაში მოქმედებს სსრ კავშირის კანონი.

ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა სუვერენული სახელმწიფოა და მას გააჩნია თავისი კონსტიტუცია, რომელიც შეესაბამება სსრ კავშირის კონსტიტუციას და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს, იგი ახამებს თავისში ნაციონალურსა და ინტერნაციონალურს.

ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი წევრია და სხვებთან ერთად მონაწილეობს სსრ კავშირის გამგებლობასმიკუთვნებული საკითხების გადაწყვეტაში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მთავრობასა და სსრ კავშირის სხვა ორგანოებში.

საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო თავისი ორი პალატით — კავშირის საბჭოებით და ეროვნებათა საბჭოებით. ორივე პალატაში დეპუტატთა რიცხვი თანაბარია, ორივეს თანაბარი უფლებები აქვს. სსრ კავშირის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში სპეციალური პალატის არსებობა, რომელიც შეადგენს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერისა და ეროვნებათა წარმომადგენლებისაგან და რომლის ძირითადი ფუნქციაა ერებისა და ეროვნებების ინტერესების დაცვა

არის ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრის პოლიტიკური საფუძველი. ჩვენი საზოგადოება არის პატრიოტთა და ინტერნაციონალისტთა მაღალი ორგანიზებულობის, იდეურობისა და შეგნებულობის საზოგადოება. საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ერებს აერთიანებს საბჭოთა პატრიოტიზმი, რომელსაც ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ პირველად კაცობრიობის ისტორიაში ჩვენმა ხალხმა მოახდინა სოციალისტური რევოლუცია, ააშენა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება, სხვა პროგრესულ ხალხებთან ერთად იხსნა მსოფლიო ფაშიზმის მონობისაგან, კაცობრიობას გაუხსნა გზა კომუნიზმის მშენებლობისაკენ. ყველაფერი ეს სხვა ფაქტორებთან ერთად იწვევს კანონიერ სიამაყეს. საბჭოთა პატრიოტიზმს ორგანულად ერწყმის ჯანსაღი ეროვნული გრძნობა. ყოველ ადამიანს უყვარს თავისი ერი, მაგრამ ამავე დროს პატივს სცემს სხვა ერებსაც, ვინაიდან მასთან თანამშრომლობით ვითარდება მისი ერის კულტურა და ეკონომიკა.

საბჭოთა სახელმწიფო .საზოგადოებრივი ცხოვრების ძართვისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ერებსა და ეროვნებებს შორის ურთიერთობების სწორ განვითარებას. ზემოთ აღნიშნულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 22 თებერვლის დადგენილებაში „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“, სხვა ნაციონალურებთან ერთად ლაპარაკი იყო საქართველოში მცხოვრებ ერებსა და ეროვნებების ურთიერთობაში არსებულ ხარვეზებზეც. ამ დადგენილების მიღების შემდეგ ძირეულად გარდაიქმნა მუშაობა. თბილისის საქალაქო კომიტეტსა და საქართველოს სხვა პარტიულ ორგანიზაციებში 1976 წლის ივნისის დადგენილებაში „თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენ-

ტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“ მოცემულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის მიერ 1972 წლიდან ჩატარებული საქმიანობის მეცნიერული ანალიზი. დადგენილებაში ყურადღება გამახვილებულია როგორც რესპუბლიკის ეკონომიკის, ასევე რესპუბლიკაში მცხოვრებ ერებს შორის ურთიერთობების საკითხებზე. დადგენილება მიუთითებს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა სამეურნეო ორგანოებმა და შრომითმა კოლექტივებმა უფრო სრულად გამოიყენეს ადგილობრივი, შინაგანი რეზერვები და ძირითადში დაძლიეს ის სერიოზული ჩამორჩენა, რომელიც 1971 — 72 წლებში ჰქონდა რესპუბლიკას მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შეარულებაში. ამავე დადგენილებაში მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობას რესპუბლიკაში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლების ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთების აღზრდის საქმეში. „ხორციელდება კონკრეტული ღონისძიებანი საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელთა შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის, აქტიურ შრომითსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩაბმისათვის. მეტი ყურადღება ეთმობა აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის გაძლიერების საკითხებს“[1].

---

[1] სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, თუ როგორ ასრულებს საქართველოს პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ, 1976, გვ. 12.

საქართველოში 80-ზე მეტი ერისა და ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს. ისინი შეხმატკბილებულად მოღვაწეობენ, ერთი სოლიდარობით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

საქართველოში, ისევე როგორც სხვა რესპუბლიკებში, მტკიცედა და თანამიმდევრულად ხორციელდება ადამიანთა ეროვნული და ინტერნაციონალური უფლებებისა და მოვალეობების თანაფარდობის დაცვა. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ ყველა ადამიანს, ყველა ერის წარმომადგენელს შეეძლოს თავის მშობლიურ ენაზე ისწავლოს და თავისი დედაენა გამოიყენოს ხელოვნებისა და მეცნიერების სფეროებში მუშაობისას. კონსტიტუციურად განმტკიცებულია სსრ კავშირის სხვადასხვა რასისა და ეროვნების მოქალაქეთა თანასწორი უფლებები; ამავე დროს ჩვენი საზოგადოება ებრძვის ნაციონალისტურ გამოვლინებებს და სოციალური საკითხების კუთხურობის პოზიციებიდან გადაჭრას. სოციალისტური საზოგადოება ხელმძღვანელობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მოთხოვნებით, თანამიმდევრულად იბრძვის ნაციონალიზმის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ და ორგანულად ახამებს ეროვნულ ინტერესებს სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებთან.

სოციალისტური ერების ურთიერთობაში მოქმედებს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული, მაგრამ ამავე დროს ურთიერთდაკავშირებული პროგრესული ტენდენცია: პირველი, სოციალიზმი ქმნის ყველა პირობას ერებისა და ეროვნებების სწრაფი და ყოველმხრივი განვითარებისათვის; მეორე ერებს შორის შუღლისა და ყოველგვარი ძალმომრეობის მოსპობა იწვევს ერების დაახლოებას ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურის სფეროებში. ყოველი ცალკეული ერის განვითარება ბუნებრივად იწვევს სხვა ხალხებთან დაახლოებას და,

პირიქით, ეროვნული კავშირი და საერთაშორისო თანამშრომლობა აჩქარებდა თითოეული ეროვნული გაერთიანებას. როდესაც ერების ურთიერთობა ეფუძნება ურთიერთანასწორებასა და ბეგარულ თანამშრომლობას, მაშინ ყოველი ერის პირადი ინტერესები და ეროვნებების საერთო ინტერესები არ ეპირისპირდება და არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. რასაკვირველია, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ მათ შორის ისეთი დამოკიდებულება მყარდება, რომ ხელსაყრელი პირობები იქმნება როგორც ერთისა, ასევე მეორისათვის.

ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ურთიერთობა სულ სხვა სასიათს ატარებს კაპიტალიზმის დროს. აქ ერების დაახლოება და ცხოვრების ინტერნაციონალური ერთიანობის შექმნა ხორციელდება ეროვნული ზღუდეების ძალდატანებითი მსხვრევის საფუძველზე. ასეთი პოლიტიკის წინააღმდეგ ილაშქრებდა ვ. ი. ლენინი და მოითხოვდა: „ჩვენ გვსურს ერების ნებაყოფლობითი კავშირი — ისეთი კავშირი, რომელიც არ დაუშვებდა ერთი ერის არავითარ ძალმომრეობას მეორე ერისადმი,— ისეთი კავშირი, რომელიც დამყარებული იქნებოდა სრულ ნდობაზე, ძმური ერთიანობის ნათელ შეგნებაზე, სავსებით ნებაყოფლობით თანხმობაზე"[1].

ლენინური ეროვნული პოლიტიკის მოთხოვნაზეა აგებული საბჭოთა კავშირში შემავალი ერებისა და ეროვნებების ურთიერთობა. ჩვენს ქვეყანაში 100-ზე მეტი ერი და ეროვნება ცხოვრობს. მათთვის შექმნილია ხელსაყრელი სოციალური პირობები საკუთარი ეროვნული ინტერესების დაკმაყოფილებისათვის. ახლა საბჭოთა კავშირი ითვლის 15 თანასწორუფლებიან მოკავშირე რესპუბლიკას, 20 ავტონომიურ რესპუბლიკას, 8 ავტონომიურ ოლქსა და 10 ეროვნულ ოკრუგს. ე. ი.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 30, გვ. 348.

საბჭოთა კავშირი მოიცავს 53 ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ერთეულს. რესპუბლიკაში ახორციელებენ დამოუკიდებელ ეროვნულ პოლიტიკას თავიანთ ტერიტორიაზე, მაგრამ ისინი არ ისაზღვრებიან მხოლოდ ნაციონალური ინტერესებით, ამავე დროს ყოველი მათგანი ცდილობს საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას, რაც აუცილებელია სოციალისტური ერების შემდგომი აყვავებისათვის. ერთიან საბჭოთა სახელმწიფოს ფარგლებში სუვერენული რესპუბლიკური სახელმწიფოების არსებობა საშუალებას იძლევა თითოეული ერის ინტერესები სწორ თანაფარდობაში მოვიდეს საერთო-სახალხო ინტერესებთან.

ოქტომბრის რევოლუციამდე ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე მცხოვრებ 40-ზე მეტ ეროვნებას არ ჰქონია თავისი დამწერლობა. სოციალიზმის დროს მათ არა თუ მიიღეს იგი, არამედ საკუთარ ნაციონალურ ენებზე განავითარეს ლიტერატურა და ხელოვნება, თარგმნეს და შექმნეს შრომები მეცნიერებასა და ფილოსოფიაში. თითოეული რესპუბლიკის ეკონომიკა მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა რესპუბლიკების ეკონომიკასთან. ყველა რესპუბლიკაში ძირითადად ვითარდება ის დარგები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი პირობები მოიპოვება, ამავე დროს ნაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის გატარებით ყოველ რესპუბლიკას თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საერთო საქმეში.

„ხალხებმა რომ შეძლონ ნამდვილად გაერთიანება, — წერდა კ. მარქსი, — მათ საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ, მათი ინტერესები საერთო რომ იყოს, უნდა მოისპოს არსებული (ე. ი. კაპიტალისტური — გ. ც.) საკუთრების ურთიერთობა, რადგან არსებული საკუთრების ურთიერთობა განაპირობებს ერთი ხალხის მიერ მეორის ექსპლოატაციას“ [1].

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 4, стр. 371.

საბჭოთა სახელმწიფომ და კომუნისტურმა პარტიამ ბრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ღონისძიებები გაატარეს ცხოვრებაში, რათა დაეძლიათ სხვადასხვა სახის გადახრები ეროვნულ სფეროში და მიეღწიათ ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის საერთო-საზოგადოებრივი მნიშვნელობისათვის. ჩვენი საზოგადოება ხასიათდება იდეურ-პოლიტიკური ერთიანობით, ხალხთა მეგობრობით და კომუნიზმის მშენებლობის საერთო ამოცანებით. თუ ინტერნაციონალიზმი გამოხატავს დამოკიდებულებას სხვა ხალხებისადმი და საერთო საზოგადოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლას, პატრიოტიზმი — დამოკიდებულებას საკუთარი ერისადმი და ზრუნავს თავისი სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ერების ურთიერთობის რეგულირებისას სახელმწიფო და კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობენ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, რომლებიც შეხამებულია ეროვნულ ინტერესებთან. „თუ გნებავთ ინტერნაციონალისტი... იყოთ, — გვასწავლიდა ლენინი, — მარტოოდენ თქვენს ერზე კი არ უნდა ფიქრობდეთ, არამედ მასზე უფრო მაღლა უნდა დააყენოთ ყველას ინტერესები, მათი საყოველთაო თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა“[1]. სოციალისტური პატრიოტიზმისათვის უცხოა ეროვნული შეზღუდულობა, იგი თავისი არსით ინტერნაციონალურია, საბჭოთა მოქალაქეები არა მარტო იმ ეროვნებებს სცემენ პატივს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობენ, არამედ მსოფლიოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს. საბჭოთა მოქალაქეების სიყვარულს ბრავალეროვანი სამშობლოსადმი და მათ მეგობრობასა და პატი-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 22, გვ. 441—442.

ეისცემას სხვა ქვეყნების ხალხების, მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი ასახავს და აკანონებს კონსტიტუცია. ახალი საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით საბჭოთა მოქალაქეები ხელს ეწყობდნენ სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაა. რაკიკვერველია, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის დამკვიდრება არ წარმართულა წინააღმდეგობების გადალახვის გარეშე. ამჟამადაც არ არის გამორიცხული ცალკეული დარღვევები. ზოგიერთი ღღესაც ვერ აღწევს თავს ეროვნულ შეზღუდულობებს ყოფა-ცხოვრებასა და სხვა ერია წარმომადგენლებთან ურთიერთობაში და ა. შ. ამიტომ ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა ის არის, რომ ახლ ეფრო სრულად და ფართოდ შეეცხადოთ სოციალიზტური პატრიოტიზმი და პროლეტარული ინტერნაციონალიზმი. აქაც პირადაა და საზოგადოებრივ ურთიერთობაში მთავარია და განმსაზღვრელს საზოგადოებრივი წარმოადგენს"... ჩვენში თანდათანობით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. — აღბოლს ასხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, — საბჭოთა ადამიანების ბედის, ხასიათის, მაოფლმხედველობის საერთო, სოციალური და ეროვნული განსხვავებისაგან დამოუკიდებელ თვისებებია"[1].

ყველა ერისა და ეროვნებისათვის თანაბარი პირობები და უფლებები არსებობს, მაგრამ ეს თანასწორობა და თავისუფალი ურთიერთობა ერთმანეთთან არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ეროვნული განსაკუთრებულობის, ეროვნული ნიშნების მიხედვით მოქალაქეთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი უპირატესობის დასაწესებლად. ერებს შორის შუღლის ან

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, კომუნიზმის გზის ისტორიული მიჯნა, გვ. 9.

უგულებელყოფის ყოველგვარი ქადაგება, ლენინური ეროვნული პოლიტიკიდან ყოველგვარი გადახვევა კანონით ისჯება. კონსტიტუცია ავალებს ყოველი ეროვნების მოქალაქეს პატივი სცეს სხვა მოქალაქეთა ეროვნულ ღირსებას და იბრძოლოს საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს ერთა და ეროვნებათა მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ამრიგად, ყოველი მოქალაქის პირადი ინტერესები ეროვნულ სფეროში კანონით განმტკიცებული და შეუბღალავია. ძაგრამ ამავე დროს იგი, როგორც მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს მოქალაქე, ვალდებულია თავისი ეროვნული ინტერესები შეუსამოს საერთო ინტერნაციონალურ ინტერესებს, ისრუნოს ერებს შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის.

ნაციონალურისა და ინტერნაციონალურის სწორი თანაფარდობის საფუძველზე გახდა შესაძლებელი პირველად ჩვენს ქვეყანაში დაძლეულიყო საუკუნეების მანძილზე ჩაგრული ერებისა და ეროვნებების ეკონომიკური და კულტურული ჩამორჩენილობა. მრავალი ერია და ეროვნებანი ერთიან კავშირად გაერთიანებამ გაამრავლა ქვეყნის ხალხთა ძალები და შესაძლებლობანი. ჩვენ ქვეყანაში განვითარებული სოციალიზმის აშენება მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს შეესაბამება, იგი ქმნის ხელსაყრელ პირობებს ერების შემდგომი განვითარებისათვის. ერების განვითარება უფრო სწრაფი ტემპით ხორციელდება, როდესაც მათ შორის მტკიცე კავშირი და თანამშრომლობაა. ყოველი ერის კულტურისა და ეკონომიკის განვითარება წინაშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო ამ ერის კეთილდღეობაში, არამედ საერთო საზოგადოების შემდგომ სრულყოფაშიც და, პირიქით, საბჭოთა სახელმწიფოს, მთელი ჩვენი საზოგადოების წარმატებები მასში შემავალი ერების შემდგომი განვითარების საწინდარია.

5. განათლება, კულტურა, მეცნიერება და პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა

რა სფეროშიც არ უნდა ჰოღვაწეობდეს ადამიანი, რა ინტერესებიც არ უნდა ამოძრავებდეს მას, როგორ ურთიერთობაშიც არ უნდა იყოს სხვა ადამიანებთან და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, იგი ყოველთვის თავის თავს ავლენს როგორც გარკვეული განათლებისა და გარკვეული კულტურის მქონე არსება. თანამედროვე მეცნიერების მონაცემებს ეფუძნება არა მარტო მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, არამედ ყოველი ცალკეული ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა. მეცნიერული აზრი განივთებულია საცხოვრებელ სახლებსა და მიმოსვლის საშუალებებში, ადამიანთა ტანსაცმელსა და ინფორმაციულ ურთიერთობებში. ადამიანთა ქცევები და აზროვნება ასევე მეცნიერული მიღწევებით არის განსაზღვრული და გაცისკროვნებული. ამიტომ თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანთა დამოკიდებულებას განათლების, კულტურისა და მეცნიერებისადმი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება კომუნისტური იდეალის — „თითოეულის თავისუფალი განვითარება ყველას თავისუფალი განვითარების პირობაა“ — შესაბამისად. სახელმწიფო მიზნად ისახავს გააფართოოს რეალური შესაძლებლობანი მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის. სსრ კავშირში არსებობს სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მუდმივ დახვეწასა და სრულყოფას განიცდის. ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართო ქსელი ქმნის ყველა პირობას იმისათვის, რომ მოქალაქეებმა თავიანთი მოწოდების შესაბამისად აირჩიონ სასწავლებელი და გახდნენ სპეციალისტები, ამ

გზით ისინი სასარგებლო საქმეს გააკეთებენ. იმოქმედებენ როგორც საკუთარი, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. ამას ემსახურება: ყველა სახის უფასო გახათლება, საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, სახელმწიფო სტიპენდიებისა და შეღავათების მიცემა მოსწავლეებსა და სტუდენტებისათვის, საასკოლო სახელმძღვანელოების უფასო გაცემა, სკოლაში იმ ენაზე სწავლება, რომელზეც მათ სურთ, თვითგანათლებისათვის ყოველგვარი პირობის შექმნა და ა. შ.

მაგრამ ადამიანთა ინდივიდუალური მისწრაფებების ყოველმხრივი განვითარება არ მიმდინარეობს თვითდინებით, ქაოსურად და საზოგადოებისათვის განურჩეველი მიმართულებით. სწავლებისა და აღზრდის ყოველი ფორმა და ყოველი რგოლი ექვემდებარება საბჭოთა ახალგაზრდობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შემდგომი განვითარების ამოცანებთან დაკავშირებით სრულიად სამართლიანად მიუთითა, რომ: „თანამედროვე პირობებში, როცა ადამიანისათვის საჭირო ცოდნის მოცულობა მკვეთრად და სწრაფად იზრდება, უკვე შეუძლებელია, რომ მთავარი იმედი დაამყარო გარკვეული რაოდენობის ფაქტების ათვისებაზე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბავშვებს ჩავუხერგოთ თავისი ცოდნის დამოუკიდებლად შევსების, მეცნიერული და პოლიტიკური ინფორმაციის სწრაფ ნაკადში ორიენტირების უნარი“[1].

საბჭოთა პედაგოგი, რა დისციპლინასაც არ უნდა ასწავლი-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. თბილისი, 1976, გვ. 167.

ღებ და სწავლების რა რგოლსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი, მოსაღლეა ახალგაზრდები კომუნისტური იდეალებით შეიარაღების, ეროვნული სოციალისტური საზოგადოების ღირსეულ წევრებად აღზრდის.

ყველა ინდივიდუალურ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ შესაბამისი მონაცემები, შეუძლიათ აირჩიონ მეცნიერების ესა თუ ის დარგი. მაგრამ მეცნიერების განვითარება და მისი შედეგების ცხოვრებაში დანერგვა კერძო პირთა საქმე როდია, იგი უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი მნიშვნელობისაა. ამ გარემოებას სათანადო სახელმწიფოებრივი ყურადღება ექცევა. საზოგადოების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს მეცნიერების გეგმაზომიერ განვითარებას და მეცნიერული კადრების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს მეცნიერული კვლევის შედეგების დანერგვას საბჭოთა მეურნეობასა და ცხოვრების სხვა სფეროებში.

კონსტიტუციაში ფართოდაა წარმოდგენილი საბჭოთა ადამიანების კულტურული უფლებები. საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი საპატიო მოვალეობაა დაიცვას, ამრავლოს და ფართოდ გამოიყენოს სულიერი ღირებულებანი საბჭოთა ადამიანების ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდისათვის, მათი კულტურის დონის ამაღლებისათვის. სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებლის გარდა მრავალი წრე მუშაობს ყველა სახის დაწესებულებებში, რითაც იქმნება შესაბამისი პირობები ადამიანთა პროფესიული ხელოვნებისა და ხალხური მხატვრული თვითმოქმედების განვითარებისათვის.

სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება. ეს უფლება გარანტირებულია იმით, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ფონდებში არსებული სამამულო და მსოფლიო კულტურის ღირებულებები მისაწვდომია ყველასათვის. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე კულტუ-

რულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თანაბრად ვითარ-
დება, ფართოვდება უფასო ბიბლიოთეკების ქსელი, სულ უფ-
რო მეტი რაოდენობით სწარმოებს საზღვარგარეთის სახელმ-
წიფოებთან კინოს, მხატვრობისა და კულტურის სხვა ღირე-
ბულებების გაცვლა. ამავე დროს კონსტიტუცია საბჭოთა მო-
ქალაქეებს ავალებს იზრუნონ ისტორიული ძეგლებისა და სხვა
კულტურული ღირსების დაცვისა და შენარჩუნებისათვის.

სსრ კავშირის მოქალაქეები თავისუფალნი არიან მეცნი-
ერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების სფეროში.
ავტორთა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა უფლე-
ებს სახელმწიფო იცავს, ყოველნაირად (როგორც მატერია-
ლური, ასევე მორალური თვალსაზრისით) ახალისებს მეცნი-
ერებისა და კულტურის მოწინავე ადამიანებს და ქმნის საჭირო
მატერიალურ პირობებს შემოქმედებითი სფეროების შემდგო-
მი გაფართოებისა და განვითარებისათვის. საბჭოთა ადამიანთა
შემოქმედების თავისუფლება არ შეიძლება გამოყენებულ
იქნეს საზოგადოების საზიანოდ, სოციალისტური ცხოვრების
წესის საწინააღმდეგო იდეოლოგიის პროპაგანდისათვის. შე-
მოქმედებით ატმოსფეროს საფუძვლად უნდა ედოს მარქსის-
ტულ-ლენინური მსოფლმხედველობა. „საჭიროა თანამიმდევ-
რულად დავიცვათ პარტიულობის პრინციპები მეცნიერებაში.—
ამბობს ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. — საკადრისი პასუხი გავ-
ცეთ საზღვარგარეთელი იდეური მოწინააღმდეგეების მეძარ-
ჯველნე - ოპორტუნისტულ და „ცრუმემარცხენულ" შეხედუ-
ლებებს" [1]. მეცნიერული და მხატვრული შემოქმედება უნდა
ემსახურებოდეს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. „ლი-

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და
პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.
გვ. 102.

ტერატურისა და ხელოვნების საკითხებისადმი პარტიული ძიდგომა ერთმანეთთან ახამებს შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი სათუთ დამოკიდებულებას, მის დახმარებას შემოქმედებით ძიებაში და პრინციპულობას. ყოველი ნაწარმოების საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასების მთავარი კრიტერიუმი, რა თქმა უნდა, კვლავინდებურად მისი იდეური ძიმართულებაა"[1]. მხოლოდ ამ გზით მოვა სრულ ჰარმონიაში ადამიანთა პირადი მეცნიერული და მბატვრული ინტერესები და საზოგადოებრივი მოთხოვნილებები, რაც ქმნის, თავის მხრივ, რეალურ საფუძველს ადამიანთა ყოველმხრივი განვითარებისათვის, განვითარებული ადამიანები კიდევ უფრო სრულყოფენ და წინ წაიწევენ ასაზოგადოებრივ ცხოვრებას და ა. შ.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს თავისუფლებას ანიჭებს სინდისის სფეროში. მათ შეუძლიათ სწამდეთ ნებისმიერი რელიგია ან არ სწამდეთ არავითარი რელიგია, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს ან ეწეოდნენ ათეისტურ პროპაგანდას, მაგრამ აქაც ადამიანთა თავისუფლება არ ატარებს აბსტრაქტულ ხასიათს და არ ცრის იგი გაურკვეველი. მოქალაქეთა თავისუფლების მიმართულებასა და ხასიათს სახელმწიფო განსაზღვრავს და მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამოსული არეგულირებს მის საზღვრებსა და დონეს. სსრ კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა ეკლესიისაგან. კონსტიტუციურად იკრძალება რელიგიურ სარწმუნოებასთან დაკავშირებით ყოველგვარი შუღლისა და სიძულვილის გაღვივება.

თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში, გვ. 111.

სიმძლავრეს, მეცნიერებისა და კულტურის მაღალ დონეს, ხალხის კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებას. მაშინ კანონიერი იქნება დავასკვნათ, რომ საბჭოთა კავშირში ყველა პირობა იქმნება ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის.

* * *

როგორც ვხედავთ, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია მშრომელებს ანიჭებს ფართო სოციალურ, ეროვნულ, ეკონომიკურ უფლებებსა და პოლიტიკურ თავისუფლებებს, ითვალისწინება მათი რეალური განხორციელების საიმედო გარანტიებს. დღეს განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების კონსტიტუციებში საკმაოდ ბევრი დებულებაა პიროვნების უფლებებსა და თავისუფლებებზე, მაგრამ ისინი წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებენ, სახელმწიფო არ უზრუნველყოფს მათ რეალიზაციას მშრომელების მხრივ. სკკ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დაუცხრომლად ზრუნავენ იმისათვის, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებანი ყველა საბჭოთა მოქალაქემ სრულად გამოიყენოს.

განვითარებული სოციალისტური საზოგადოება პირადისა და საზოგადოებრივის ორგანული და ჰარმონიული ერთიანობის ცოცხალი განსახიერებაა, იგი ისეთი რეალური სინამდვილეა, რომელიც ჩამოყალიბდა და ვითარდება წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების, საზოგადოების სოციალურ ჯგუფებსა და ფენებს შორის ბარიერების მოსპობის საფუძველზე. იგი განუხრელად აუმჯობესებს და სრულყოფს სათანადო პირობებს პიროვნების ძალების, უნარისა და ნიჭის ყოველმხრივ განვითარებისათვის.

შინაარსი

1. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია 9
2. საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სისტემა და პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა 16
3. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური სისტემა და პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა 27
4. საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერებისა და ეროვნებების ურთიერთობა და პირადისა და საზოგადოებრივის დიალექტიკა 47
5. განათლება, კულტურა, მეცნიერება და პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობა 58

რედაქტორი ნ. ვონამშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ტუხაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ვ. ხეცურიშვილი
კორექტორი ლ. არეშიძე
გამომშვები ნ. მანგასერიძე

ს. ბ. № 1713

გადაეცა წარმოებას 7. VII. 73. ხელმოწერილია დასაბეჭდად 31. I. 79.
საბეჭდი ქაღალდი № 2. 70×108 1/32. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 2.8
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2,5

УЕ 03603 ტირაჟი 2000, შეკვ. № 1960

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

ფასი 5 კაპ.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა,
თბილისი, ლენინის 14.

Типография изд-ва ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.